სპეციალური გაზეთი

№10 (515) • 27 მარტი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

უმაღურობის სინდრომი

წერილები ბატონ ბიძინა ივანიშვილს

დავით ლორთქიფანიძე: ღრმად ვარ დარწმუნებული, ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებით, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება

მეტამორფოზა პოეტისა, ანუ „ვინც არ არის კახაბერი“

მედიადივა თუ „სამადავოლნაია დურა“?

ბოლოს და ბოლოს, ხმას ვერ იმორჩილებს, ეს გასაგებია, მაგრამ ფეხები რომ არ მოღრიცოს და ტუფლი არ ამოატრიალოს, ისეთი ჟურნალისტი ამ ქვეყანაში არ მოიძებნა პრეზიდენტთან სალაპარაკოდ?

პოლიტპარადოქსები

ნახეთ, როგორ ერთნაირად იღიმებიან? ჯოკონდა (მურუსიძე) არ გინდათ, ბელმონდო (ჩინჩალაძე) არ გინდათ, აბა, ვინ გინდათ – დიმიტრი გელოვანი? დიმიტრი გელოვანი მოკვდა საწყალი და სააკაშვილმა და ადეიშვილმა დაასაფლავეს სახელმწიფო ხარჯით უპატრონოთა სასაფლაოზე.

ამათ ხელში, მამულო, ჩემ ფეხებს აყვავდები!

ორმაგი ჩიხი (ურეცეპტობის ტრაგედია)

„უხილავი სიამოვნება“ ანუ რა მაქინაციები შეიმუშავა სათამაშო ბიზნესმა?

დავით ლორთქიფანიძე:

ღრმად ვარ დარწმუნებული, ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებით, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება

რა დადებით ძვრები შეიძლება მოხდეს ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებით, მათთან ერთად თუ ბრუნდება მავანთა მიერ გვერდზე გაწეული „ქართული ოცნების“ ე.წ. ძველი გვარდია? ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ექსპარლამენტარი, ვანის მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ძალზე საწყენია, როცა ასეთი კარგი იდეებით მოსულმა პოლიტიკოსებმა, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ასე ვთქვათ, უსისხლო რევოლუცია მოვახდინეთ, მაგრამ პარტიის გაძლიერება ვეღარ შევძელით. ჩვენი სიცოცხლისა და ოჯახების რისკის ფასად მოვიპოვეთ მართლაც ძალიან დიდი გამარჯვება, მაგრამ ხელისუფლება როცა ჩავიბარეთ, აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მართვა ძალიან დიდი ტვირთია. აქედანგამომდინარე, გარკვეულწილად მოდუნდა ყურადღება პარტიული სტრუქტურების განსავითარებლად და ფეხზე დასაყენებლად. „ქართული ოცნება“ ფაქტობრივად ერთი წლის შექმნილი პარტია იყო და ფაქტობრივად არც იყო პარტია კლასიკური გაგებით. ბიძინა ივანიშვილით დაწყებული ყველა იმ რუტინაში გადაეშვა, რასაც ჰქვია სახელმწიფო სამსახური, საჯარო სივრცე და ა.შ. სათანადო ყურადღების ქვეშ რომ ველარ აღმოჩნდა პარტიული საქმე, პარტიული აღმშენებლობა, მოხდა კიდეც ის, რაც მოსალოდნელი იყო. საქართველოა, მოგეხსენებათ ნაცნობობა-ახლობლობის როლის მნიშვნელობა, გარკვეულმა წრეებმა მოახერხეს, ადგილებზე ჩვენი აქტივისტები გვერდზე გაეწიათ და იქ თავიანთი ხალხი შემოეყვანა თ. ეს ადამიანები რიგ შემთხვევებში არ გამოირჩეოდნენ თავიანთი მაღალი ავტორიტეტით, სამაგიეროდ, სარგებლობდნენ ვიღაცებთან ახლო ურთიერთობებით. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ნეპოტიზმმა აშკარად დაასვა გარკვეული დაღი მმართველ პარტიას. თითქმის ყოველ წელს იყო არჩევნები, ჯერ საპრეზიდენტო, შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის, ისევ საპარლამენტო არჩევნები, მმართველი პარტიისადმი მაღალი ნდობის გამო, რომელიც განპირობებული იყო ბატონი ბიძინას ავტორიტეტით და ადგილებზე ჩვენი ავტორიტეტითაც, „ქართული ოცნება“ რაიონებში წარმატებას აღწევდა. ეს გარკვეულწილად „წამახალისებელი“ გახდა ამ ასე ვთქვათ, გარედან შემოყვანილი ადამიანებისთვის, ეს მათი გამონათქვამიდან ჩანდა, აი, ახლა ხომ მოვიგეთ არჩევნები, დრო არ არის, რაღაც შეიცვალოსო.ე.ი. არჩევნებზე შედეგი როცა იდებოდა, ამათ საფუძველს აძლევდა, იგივე გაეგრძელებინათ. ასე მოვედით 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, სადაც პირველმა ტურმა თვალნათლივ გვაჩვენა, რომ სამწუხაროდ იმდენადაა გაუცხოებული ჩვენი ამომრჩეველი, „ყვითელი ბარათი“ გვიჩვენა. ამას მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის საყოველთაოდ ცნობილი გამოსვლა, რის შემდგომაც ჩვენი ძალიან ბევრი აქტივისტი აქტიურად ჩაერთო საქმეში და დადებითი შედეგიც დაიდო. აქ არ არის საუბარი მაინც და მაინც ჩემზე, სოსო ჯაჭვლიანსა თუ ლუკა კურტანიძეზე, ჩვენ და ბევრი სხვაც პირველ ტურამდე ვიყავით ჩართული საარჩევნო ბატალიებში. ამ არჩევნების შემდეგ დიდი დრო არ გასულა და ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდა პარტიაში პოლიტიკურ მდივნად, რასაც მე ვთვლი, ბატონი ბიძინას მხრიდან პირველ რეაგირებად თავის განცხადებაზე, რომ საჭიროა ცვლილებები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებით, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.

— ბატონო დავით, ირაკლი ღარიბაშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება ძალზე დადებითი მოვლენა, მაგრამ ფაქტია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. სანამ ამ საკითხზე ფართოდ ვისაუბრებდეთ, ერთს გკითხავთ, რადგან ეს საზოგადოებას ძალზე აინტერესებს. ვინ იყო რეკომენდატორ-ინიციატორი ამ ე.წ. ახალი სახეების?

— ის ადამიანები, ვინც დღეს „ქართული ოცნების“ სახელით არიან წარმოდგენილი ყველა დონის არჩევით ორგანოებში, იქნება ეს პარლამენტი, საკრებულო თუ სხვა, ჩემთვის პირველ რიგში 2011–2012 წლის თანამებრძოლებთან ასოცირდება. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც იმ დროს ჩვენთან არ იყვნენ ასოცირებული, ვფიქრობ, პროფესიონალიზმის ნიშნით წამოსწიეს წინ, ყოველ შემთხვევაში 2016 წელს, წინა საარჩევნო პერიოდში, ჩვენ ასე გვითხრეს, რომ ისინი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების გამო იყვნენ მმართველი პარტიის სიაში. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბატონი ბიძინას ჩართულობა არ ყოფილა ამ საქმეში. საარჩევნო სიების შედგენის პერიოდში, მასთან მქონდა კომუნიკაცია ამ თემასთან დაკავშირებით და ვიცი, რომ ის აქტიურად არ ჩარეულა ამ პროცესში. ბატონი ბიძინას ხელდასმით რომ არ არიან ეგ ხალხი (პერსონიფიცირებას არ დავიწყებ) „ქართულ ოცნებაში“ მოყვანილი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. იმ პერიოდში პარტიის ლიდერი პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი გახლდათ, მისი და პარტიული სტრუქტურების ერთობლივი თანამშრომლობით ხდებოდა ყველაფერი და ეს რამდენიმე კანდიდატიც მათი შერჩეულია. რამდენად პოზიტიურად აღიქმებიან ეს დეპუტატები მმართველ პოლიტიკურ ძალაში, ეს უკვე საზოგადოების განსახეულია. ვფიქრობ, ძალიან დიდი რესურსია „ქართულ ოცნებაში“, ბატონი ბიძინას პირად რესურსთან ერთად, თავად პარტიის სერიოზული რესურსი. თუ მოხდება ძველი კადრების გადახედვა და იმ ადამიანების მოძიება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც პატიოსნებასა და პროფესიონალიზმთან ასოცირდებიან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პარტიის გაჯანსაღების პროცესი იქნება მყისიერი. ბატონმა ბიძინამ თავის დროზე განაცხადა, რაღაც აპოკალიფსი, მეორედ მოსვლა უნდა მოხდეს, პოლიტიკაში რომ დავბრუნდეო, დაბრუნდა პარტიის თავმჯდომარედ. ის თავად არ იტყვის, მაგრამ მე ვიტყვი, რომ პარტიაში ფაქტობრივად მეორედ მოსვლის მდგომარეობაა, არ ვიცი, ახლა ვის მოეწონება, ან არ მოეწონება ჩემი ეს ნათქვამი. მე გულგრილი ვერ ვიქნები, როგორ შეიძლება ადამიანს რეაქცია არ ჰქონდეს ოჯახში რაიმე ცუდი რომ ხდება? ჩემთვის „ქართული ოცნება“ ოჯახის ტოლფასია და რა თქმა უნდა განვიცდი ყველა ნეგატივს, პოზიტივზე კი დადებითი რეაქციები მაქვს.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ. იმას არ ვამბობ, რომ ვიღაცებს გამოეკიდონ და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიონ, მაგრამ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ამ ქვეყანაში ყველას თავისი ბეგრაუნდი აქვს, რაღაც უკეთებია ამ ქვეყნისთვის, ვის მეტი და ვის ნაკლები, ამას პარტიის ლიდერებმა კიდევ ერთხელ,

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲨᲞᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“
ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 164;
ᲢᲔᲚ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
ᲠᲔᲒᲘᲡᲢ. №202375349; ᲣᲐᲙ (UDC) 070.23 (479.22) Ს-158

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ.
ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲞᲡ „ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲒᲚᲐᲫᲘᲡ 39

® ᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

პირუთვნელად, ცივი გონებით გადახედონ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაო დრო კი არის, მაგრამ უცებ შემოგვადნება ხელში, დროულად უნდა მივიღოთ გადამჭრელ ზომები, სწრაფად უნდა გადავდგათ შეგნებული ნაბიჯები. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო ამბები გველოდება პარტიასთან მიმართებაში. ჯერ ყველაფერს ვერ ვიტყვი, თუმცა მაქვს გარკვეული ინფორმაციები, ვიცი, რომ იქნება ძალიან სერიოზული აქტივობა, რეგიონებში გასვლები, რაშიც ირაკლი ღარიბაშვილი უშუალოდ იქნება ჩართული, ადგილზე ობიექტური ინფორმაციები იქნება აღებული და არა რაღაცა ნეპოტიზმის გადმოსახედიდან. ამის შემდგომ მოხდება სათანადო რეორგანიზაციები პარტიულ რგოლებში, რაც პარტიის გაჯანსაღებისთვის იქნება გაკეთებული და არა ვინმეს დასაკნინებლად. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ადამიანებს დაუმსახურებლად რაღაცა იარლიყი მივაწებოთ, მაგრამ ერთგულ ადამიანს, მით უფრო პროფესიონალსა და გამოცდილს არ უნდა დაუკარგო, რაც მან წლების განმავლობაში გუნდისთვის და მით უმეტეს ქვეყნისთვის გააკეთა. ერთი მერცხალი მართლა ვერ მოიყვანს გაზაფხულს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არის გაზაფხულისთვის განწყობები, თანაც ბატონი ირაკლი მარტო არ არის, პარტიაში არიან ქმედუნარიანი ადამიანები, ე.წ. ძველი გვარდია, გამობრძმედილი ადამიანები, რაც წლების განმავლობაში დაამტკიცეს, ყველასთან გვაქვს ურთიერთობა. მე საერთოდ კომუნიკაბელური ადამიანი ვარ, ეს ალბათ მედიასაშუალებებთან ჩემი აქტიური ურთიერთობიდანაც ჩანს, ე.წ. 2012-იანელებთანაც აქტიური კომუნიკაცია მაქვს. ისინი მართალია, განაწყენებულები არიან „ქართული ოცნებაზე“, მაგრამ ამ ადამიანებში არის ძალიან დიდი მოლოდინი სასიკეთო ცვლილებებისკენ და ვფიქრობ, ეს „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები, ისევ წამოიწევენ წინა პლანზე.

ერთი აუცილებლად უნდა ვთქვა, მართულ-პარტიული ტელევიზიებისა და მათში დასაქმებული ჟურნალისტების მიერ, ზოგიერთი ჩემი კოლეგის მიმართ აგორებული ნეგატიური ე.წ. პიარის იგნორირება უნდა მოახდინოს „ქართული ოცნების“ ლიდერშიფმა. ჩვენ არ უნდა მოვექცეთ ამ ტელევიზიების დღის წესრიგში, რადგან ისინი რიგ შემთხვევაში, სწორად აკეთებენ წერტილოვან დარტყმებს. ისინი ებრძვიან და ცდილობენ „ბუად“ დახატონ ის ადამიანები, რომლებიც ნაცმოძრაობისა და წინა რეჟიმისთვის ხიფათის შემცველები არიან. მარტო ხიფათის შემცველი კი არა, პლიუს ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც სხვა რაღაცა ნეგატივს ვერ უძებნიან და თითიდან გამოწოვილ რაღაცებს აბრალებენ, რითაც ცდილობენ ტელევიზიით „გააშავონ“. **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მე არ მეგულება ე.წ. 2012-იანელებში, ბიძინა ივანიშვილის გვერდით მდგომებში არცერთი ადამიანი, ვინც იმსახურებდეს ნეგატივს და საზოგადოების უპატივცემულობას.** მე დიდ პატივს ვცემ ჩემს თანამებრძოლებს და მინდა ძველების და იმ ახლების, ვისაც აქვს მორალური უფლება ამ გუნდში იყვნენ, ძალიან კარგი სიმბიოზი გამოვიდეს.

— ბატონო დავით, ტელევიზიებად წოდებული პარტიული რუპორები, მონდომებით რომ ცდილობენ მათთვის მიუღებელი ადამიანების „გაშავებას“, გარდა ამისა, ცდილობენ აპოკალიფსი დახატონ ქვეყანაში, რომ სასიკეთო არაფერი ხდება, რას აკეთებს ამ დროს ხალხის ჯიბიდან მსუყედ დაფინანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი“? ბიუჯეტი რატომ უნდა აფინანსებდეს 45 მილიონით ტელევიზიას, რომელიც „რუსთავი-2“-ის, ოპერატიულობასთან მწყრალად მყოფი ფილიალი გეგონება?

— 45-ით არა, 48 მილიონით ფინანსდება „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ძალიან დიდი გულისტკენა გვაქვს მე და ჩემს თანაგუნდელებს, რომლებსაც ძველ გვარდიად მოიხსენიებენ, რომ საზოგადოების ჯიბიდან დაფინანსებული ტელევიზია ასე უღიმღამოდ გამოიყურება. ძალიან საწყენია, რომ დღეს ტელესივრცეში ასე ვთქვათ, მოდის დამკვეთი პარტიული ტელევიზიაა, ვგულისხმობ „რუსთავი-2“-ს. თუ დააკვირდებით, რომელიმე მინისტრთან ან პარლამენტართან ჟურნალისტები რომ არიან შეკრებილი, არცერთი ტელევიზიის ჟურნალისტი არ სვამს კითხვას „რუსთავი-2“-ის გარდა. რა პრივილეგიით სარგებლობენ ამ ტელევიზიის ჟურნალისტები, მართლა ვერ ვხვდები. ამიტომ ვფიქრობ, ამხელა ფინანსური რესურსის პირობებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს სერიოზული დომინანტი ელექტრონულ მედიასივრცეში, სხვაზე კი არა, ამ ტელევიზიაზე უნდა იყოს აწყობილი დღის წესრიგი. ეს გაკეთებადია, რადგან სახელმწიფო ტელევიზიას ამის ყველანაირი რესურსი და საშუალება აქვს. რაც შეიძლება მეტი შემეცნებითი გადაცემა უნდა იყოს, მათ შორის თოქშოუები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებაში მოთხოვნილებადი ადამიანები და არა ერთი და იგივე, მაპატიეთ და დაშტამპული ტიპები, რომლებიც ყველა ტელევიზიაში სისტემატურ რეჟიმში სხედან. ხანდახან მიკვირს კიდეც, თბილისური „საცობების“ პირობებში როგორ ასწრებს ეს ხალხი ერთი ტელევიზიიდან მეორეში მისვლას თოქშოუში მონაწილეობის მისაღებად.

როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალა ხარ, დამოუკიდებელი ტელევიზიების საქმიანობაში რომ არ უნდა ჩაერიო, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ უნდა მოახერხო, რომ ის რაც სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, კარგი გაგებით, პიარისთვის გამოიყენო. ხელისუფლება კარგს რომ აკეთებს, ეს ინფორმაცია საზოგადოებამდე უნდა მიდიოდეს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, უამრავი სასიკეთო რამ კეთდება, მაგრამ ამის 10%-საც ვერ გებულობს საზოგადოება. ჩვენი პარტიის პიარი ძალიან მოიკოჭლებს, საზოგადოება ფაქტობრივად ინფორმაციულ ვაკუუმშია და მერე გვიკვირს, რატომ არის ხალხი ჩვენზე ნაწყენი. ვანის მაგალითზე გეტყვით, ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელმაც 2013 წლის იანვარში აღადგინა ნაციონალების მიერ 2010 წელს გაუქმებული სოფელ მიქელეფონის საჯარო სკოლა. ნაციონალებს ამ შენობაში თხილის გადამამუშავებელი ფაბრიკის გახსნა უნდოდათ. სკოლის გაუქმების შემდეგ, სოფელი ფაქტობრივად დაიცალა, მეზობელ სოფლამდე რვა კილომეტრია, როგორია ყოველდღე 16 კილომეტრის ფეხით გავლა. ბავშვებს მარტ ოვერ უშვებდნენ, რადგან ტყის ზოლი უნდა გაევლოთ, სადაც ტურები და მგლები იყო. მშობლები იძულებული გახდნენ ქუთაისსა და სამტრედიაში ექირავებინათ ბინები, რომ ბავშვებს სკოლაში ევლოთ. 2010 წლიდან ამ ხალხის გვერდით ვიყავი, მშობლებთან და პედკოლექტივთან ერთად აქციებს ვაწყობდი. როგორც კი „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ეს სკოლა ძალიან მოკლე დროში აღვადგინეთ და გავხსენით, მაგრამ არავის გაუგია ეს ამბავი. რომ გამოდიან ნაციონალები და გვაკრიტიკებენ იგივე სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, უფასო ბაღი სწორედ ჩვენ შემოვიღეთ. ნაციონალებმა ატასზე მეტი ბაღის და საჯარო სკოლის შენობა გაყიდეს, ჩვენ გაუქმებულები აღვადგინეთ, ხელისუფლება რომ ხარ, ამაზე ძალიან სერიოზულ სიუჟეტს გავაკეთებდი და მთელ ქვეყანას გავაგებინებდი. ნაციონალების მმართველობისას ვანის უნიკალური არქეოლოგიური მუზეუმის შენობა უნდა დაემთავრებინათ, რაც რა თქმა უნდა არ გააკეთეს, უბრალოდ შეჭამეს გამოყოფილი ფული. პირადად მე ორწელიწადნახევარი დამჭირდა გაჩანაგებული ასე ვთქვათ, დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად, ევროპელების დახმარებით შედგენილი პროექტი იყო, მაგრამ სამუშაოები მისი მიხედვით არ გააკეთეს, ფაქტობრივად ჩავარდნილი იყო ეს პროექტი. ჩვენ თავიდან დაგვჭირდა ამაზე მუშაობა. მანმადე თუ 300.000-ზე იყო იყო საუბარი, 14-მილიონნახევრიანი პროექტი გავაკეთეთ, რომლის პრეზენტაციაც 2016 წლის მაისში მოეწყო, მსოფლიო ბანკის დახმარებით კეთდება ყველაფერი. დღემდე ერთი სიუჟეტი არ გაკეთებულა თუნდაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, იქ რა მშენებლობა მიმდინარეობს. ვანი ერთადერთი რაიონი იყო ქვეყანაში, რომელსაც საავადმყოფო არ ჰქონდა. ნაციონალების მმართველობისას კომპანია „ადითს“ უნდა გაეკეთებინა, რომელსაც სიმბოლურ ფასად გადასცეს საავადმყოფოს შენობა, მაგრამ არ გააკეთეს. ჩვენ წლები დაგვჭირდა, რომ ეს კომპანია გაგვეშვა, ყველაფერი სამართლებრივად გაგვეკეთებინა, ბოლოს ვანში გავხსენით თანამედროვე, უნიკალური კლინიკა, არცერთ ტელევიზიას ეს არ გაუშუქებია, ადგილობრივების გარდა არავინ იცის ამ კლინიკის არსებობის შესახებ. სამაგიეროდ, რეაბილიტაციამდე ვირთხები რომ დარბოდნენ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, ეს აჩვენა „რუსთავი-2“-მა.

მე 2014 წელს პარლამენტის მარალი ტრიბუნიდან ვთქვი, რომ მმართველ პარტიის პიარი მოიკოჭლებდა, რაზეც გამინაწყენდნენ, ეს რატომ უნდა გეთქვაო. შემდგომ პარტიის გენერალურმა მდივანმაც გაიმეორა, რომ სუსტი პიარი გვქონდა, რისთვისაც კახა კალაძეს მადლობას ვუხდი. სერიოზულად არის ეს საკითხი მისახედი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

უმადურობის სინდრომი

წერილები ბატონ ბიძინა ივანიშვილს

(წერილი პირველი)

გეყოფათ, ბატონო ბიძინა, გეყოფათ, საკმარისია, უკვე დაერქვა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი. თქვენ ჯერ კიდევ 2012-ში მითხარით, მავანი გაყიდულიაო, მავანი მოსყიდულიაო, მავანი მოღალატეაო... ამაზე თვითონაც დაწერეთ მანამდე, 2011 წლის ნოემბერში, მაგრამ მე პირადად თან მჯეროდა, თან არ მჯეროდა. აჰა, აგერ, გამოხდა ხანი და მართალი აღმოჩნდით – „მავნები“ სწორედ ისეთები აღმოჩნდნენ, როგორებადაც თქვენ დაახასიათეთ. არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... აი, მაგალითად, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ასი პროცენტით გაამართლა თქვენეული „აღწერილობა“ და მაგაზე აღარ მოვყვები. ჯერ ერთი, უკვე ბევრჯერ დავწერე და მეორეც – უკვე ყველამ ყველაფერი იცის. არა, ისე, მაინც მაგარია... 2012-ში მითხარით, ეგ ქალი სააკაშვილთან არის შეკრულიო და შვიდი წლის თავზე გაცხადდა, რომ მართლაც შეკრული ყოფილა. არადა, მოხერხება ხომ გინდა, ასეთი გრანდიოზული სპექტაკლები დადგა, თავი „ნაცების“ მტრად წარმოაჩინო და ბოლოს უგულავა-ბოკერიავაშაძეს მაგიდასთან მიუჯდე? სხვათა შორის, ის უფრო მაგარია, ადამიანს 2012-ში რომ გამოამზეურებ და მერე ეს ადამიანი საკუთარ თავს 2019-ში გამოამზეურებს. დამიჯერეთ, თქვენ ფაქტიბრივად გამოდიხართ წინასწარმეტყველი... ან სულაც სუპერ-პოლიტიკოსი. ტყუილია მაი ამბავი, ვიღაც უნიჭოები რომ იძახიან, პოლიტიკა არ ესმისო, ეგ ბიზნესმენიაო.

აი, კიდევ ერთი მაგალითი... მე და ჩემნაირებს პაატა ბურჭულაძე კაცური კაცი და მართლა მსოფლიო მნიშვნელობის ბანი გვეგონა, სინამდვილეში ერთი უბრალო მეშჩანი ყოფილა. სხვათა შორის, ამ წუთას ერთი ამბავი გამახსენდა: შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, როცა ბატონი პაატა გადაფრინდა მსოფლიო სცენაზე, გამოჩნდა ერთი კაცი, უაღრესად სიმპატიური და უაღრესად პატიოსანი, რომელიც ჩიოდა და ჰყვებოდა, თუ როგორ ჩაანაცვლეს მისი კანდიდატურა ბურჭულაძით, როგორ გაათამაშეს ბინძური სპექტაკლი და როგორ მოუჭრეს გზა ყველა მხრიდან. ეს გახლავთ ბათუმის ოპერის თეატრის სოლისტი ალექსანდრე ხომერიკი. როცა თემა პრესაში გასკანდალდა, ბურჭულაძემ ამ ადამიანს ისეთი ბიჭები დაახვია თავზე, ჩემი დედაო, რომ იძახიან ხოლმე ყოველი წინადადების ბოლოს. აღარ მოვყვები, რა მოხდა მაშინ, კაცი იმ დონემდე მიიყვანეს, ბოდიშები ახდევინეს, თავბედი აწყევლინეს, ლამის თავი მოაკვლევინეს. ჰოდა, ახლა თქვენ დაამტკიცეთ, რომ ბატონი ბურჭულაძე ფულის გამო ყველაფერს იკადრებს. არა, ცოლი რომ მოგიგზავნათ, 9 მილიონი ჩაგვირიცხეთო, როგორ იყო? ნეტა ლარი უნდოდა, დოლარი თუ ევრო? ესე იგი, თუ 9 მილიონს მისცემდით, მიხოსთან აღარ გავარდებოდა, ხომ? მოკლედ, რა�ა... დაინახავ ადამიანს, კაცს ჰგავს, მოგეწონება, ხელს გაუწვდი, დაელაპარაკები, დაუახლოვდები და აუუუუ... კაცმაცუნაა. პრინციპში, რას გიყვებით, თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად იცით ამ კაცმაცუნების შესახებ?

თავის დროზე „რესპუბლიკელებზე“ გითხარით, უჯიშოები არიან-მეთქი და თქვენ მიპასუხეთ – მოიცადე, ნუ ჩქარობო. მაშინვე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ უკვე იცოდით, რა ნაგავთანაც გქონდათ საქმე და ამიტომაც „დააპაშოლეთ“ 2016-ში. ერთი რა მაგის პასუხია და... გავიგე, დავით ზურაბიშვილი გადაგირჩენიათ, კიბო ჰქონია, გერმანიაში გაგიგზავნიათ, 150 ათასი (დოლარი თუ ევრო) დაგიხარჯებიათ, განკურნებული დაგიბრუნებიათ, ვალებიც ჩამოგიწერიათ და ახლა აქუს კანტორიდან იძახის, ბიძინამ თავისი თავი ამოწურა, უნდა წავიდეს, ვერაფერს ვერ აკეთებსო. თან აქეთ გვმოძღვრავს, მერა რა, რომ მიმკურნალა და გადამარჩინა, პოლიტიკაში სხვა ინტერესები არსებობსო. გამოგიტყდებით, ბატონო ბიძინა, როცა მე 4 წლის შვილიშვილი გამაბრაზებს ხოლმე, აღარ მაქვს სურვილი, ნაყინი ვუყიდო... დავიჯერო, ასეთ რაღაცებზე არ ბრაზდებით და არ გიქრებათ სურვილი, რომ მსგავს ნაგვებს აღარ დაეხმაროთ, აღარ გადაარჩინოთ? მიკვირს და ალბათ მომავალშიც გამიკვირდება, როგორ იტანთ ამდენ უმადურობას? აგერ, შეხედავთ დავით ზურაბიშვილს, ორმეტრიანი ოქლაქია, თითქოს განათლებულის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში ლევან რამიშვილის ბუნაგიდან გამოსული ნაგავია. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, აქამდე ვიტყოდი: გასცით, თქვენი პატრონი დედაც-მეთქი და... ვიყიდიდი ერთ დაუსახლებელ კუნძულს, წამოვწვებოდი ქოქოსის ხის ქვეშ და ვიქნებოდი განცხრომაში. თუმცა, როგორც ვხედავ, თქვენ იმდენად გიყვართ მამულ-დედული, ამის გამკეთებელი ნამდვილად არ ხართ. არადა, ზოგიერთის კაცობის გამოაშკარავება, ზოგიერთის სინდის-ნამუსის გამომზეურება ძალიან ძვირი გიჯდებათ. კიდევ ერთ მაგალითად ირაკლი ალასანიას ცხოვრება და „მოღვაწეობაც“ გამოდგება, რომელიც ჯერ კიდევ 2012-ში გაიშიფრა, როცა ფარულად ხტუნაობდა და აცხადებდა: ეს ივანიშვილი ვინ ყოფილა, ტოოო, ჩვენ რა ვქნათ, ჩვენაო? მიუხედავად ამისა, გაატარეთ, სამაგრელოში გაუშვით არჩევნების მოსაგებად, მილიონებიც გაატანეთ და ყველა რაიონი წააგო. როდესაც პასუხი მოსთხოვეთ, რაღაც „ანგარიში“ დაგიჯღაბნათ, მოგართვათ და თქვენც დაუჯერეთ... უფრო სწორად, არ დაუჯერეთ, მაგრამ გაუტარეთ, სიტუაცია აღარ დაძაბეთ, მტრები არ გააზარეთ და თავდაცვის მინისტრადაც გაამწესეთ. ამ დროს როგორ შეიფერა მინისტრობა ალასანიამ? პირველივე დღრებიდანვე დაიწყო სირბილი გიგილო უგულავას ცოლთან ერთად ფრანციასა თუ ანგლიაში, დაფრინავდა „ჩერეზ“ დუბაი „ნაციონალებთან“ სალაპარაკოდ, რათა საკუთარი თავისთვის პერზიდენტობა გაეჩალიჩებინა. არ გამოუვიდა, ეგეც ჩაუფლავდა, გაუგეთ და როცა მიხვდით, ერთი რაღაცისგან სალამური არ გამოვიდოდა, დაახვევინეთ. თუმცა, როგორც ვხედავ, ირიბად მაინც არ ისვენებს... აგერ, თავისი პარტია „ნაცებს“ მიუერთა, ხოლო ირინა ენუქიძის ყოფილი ადვოკატი შალვა შავგულიძე მთაწმინდაზე მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინეს. ალბათ, დამეთანხმებით, რა ამაზრზენი იყო, როცა შავგულიძემ ბოკერიაუგულავასთან შამპანიურის ბოთლები გახსნა. რაღა დაგიმალოთ და... ამათ რომ ვუყურებ, ლევან მურუსიძე მართლა მსხვერპლი მგონია. ადრე არ გეთანხმებოდით, მაგრამ ახლა გეთანხმებით.

მარტო ალასანია-შავგულიძეზე გაქვთ ამაგი? გუბაზი, კაცო, სანიკიძე... 2012-მდე ვითომ მი-

ხოს ებრძოდა, ვითომ მამულის გადარჩენაზე ფიქრობდა, მერე რაღაცები მობოდა, არაკაცური გაუშვა და თქვენ ესეც აპატიეთ, პარლამენტში ზემო თაროს წამოასკუპეთ. წამოასკუპეთ რა, ჩავიდა თუ არა ქუთაისში, დაწვა, დაიძინა და 2016-ში გაიღვიძა, კიდე მინდაო. ფაქტია, უარი უთხარით და არც მილიონი დოლარი აშოვნინეთ. დიახ, 2012-ში იძახდა, სათავეში იმიტომ მოვდივარ, სულ მცირე, მილიონი უნდა ვიშოვოო. ვიმეორებ – არ მიეცით მილიონი და ეგრევე მტრად მოგეკიდათ. აბა, ერთი მიგეცათ, განა დღეგამოშვებით აქუს დუქანში იჯდებოდა და უკანასკნელი სიტყვებით გაგლანძღავდათ? პრინციპში, ძალიანაც კარგად მოიქეცით, წინაალმდეგ შემთხვევაში სადმე მოყუჩდებოდა და ჩვენ ვერ გავიგებდით, როგორი ბოღმის „ბუკეტიც“ ბრძანდება.

კახეთში იტყვიან ხოლმე, რამდენი ვირიც ვიყიდე, იმდენი მკუანა გამამადგაო. ეს უბრალოდ მეტაფორაა, თორემ სინამდვილეში ვირებზე კი არა, ადამიანებზეა საუბარი, რომლებსაც უქნარობა და უმადურობა სისხლში აქვთ გამჯდარი. ამ კახურ „სტანდარტში“ ძალიან კარგად ჯდებიან დიმიტრი ქუმსიშვილი და გიორგი კვირიკაშვილი, რომლებიც ჯერ კიდევ 2012-ში დაიფრინეთ, მაგრამ მოგვიანებით დაგარწმუნეს, რომ მაგარი ბიჭები არიან, შეიძლება არც დაიჯერეთ, მაგრამ ფაქტია, გაატარეთ, ერთი პერმიერად გაამწესეთ, მეორე – ვიცე-პრემიერად. ამათ, ამ „კარგმა“ ჯეელებმა ისე გააჯეჯილეს „ოცნებაში“ „ნაცმოძრაობა“, კინაღამ პრეზიდენტის პოსტი ჩაიგდეს ხელში. ნუ, ახლა, აღარაფერს ვამბობ 700 მილიონის ჩამოთლასა და სხვა მაქინაციებზე. ბატონო ბიძინა, თქვენ უკიდურესად მიმტევებელი ადამიანი ბრძანდებით... ვატყობ, ამათაც მიუტევეთ – არ გინდათ, ადამიანები, რომლებიც ოდესღაც გვერდით გყავდათ, ციხეში გამოკეტოთ. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი... შეიძლება კარგი თვისებაა, მაგრამ მტრებს რომ სალაპარაკო ეძლევათ, ეს ცხადია.

აბა, უყურეთ, ვინც კი თქვენ სარკოფაგიდან ამოიღეთ 2012-ში, ყველა მიხოს ნასუფრალს

მიუჯდა იმ იმედით, რომ უახლოეს ხანში დაგამხობენ და ისევ გაუჩნდებათ საკბილო. ამათთვის ე.წ. პოლიტიკა ე.წ. ბიზნესია, საშოვარია, საკბილოა... მას შემდეგ, რაც თქვენგან ვეღარ ხეირობენ, ხანჯლები აიღეს ხელში. კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ, რომ ეს ვითომ პოლიტიკოსები ბოლომდე გააშიშვლეთ, მაგრამ ახლა დგებით დიდი პრობლემის წინაშე – უნდა გაუძლოთ ცილისწამებას, სიცრუეს, თქვენკენ დაძრულ წუმპეს, ათასნაირ საზიზღრობას და ასე შემდეგ. შეიძლება თქვათ (რაც პირადად ჩემთვის გითქვამთ), რა ვუყოთ, ესენიც ჩვენი შვილები, ძმები, დები და მამიდაშვილები არიან, როგორმე უნდა მოვაქციოთ, სწორ გზაზე დავაყენოთ, ბოლოს და ბოლოს, რაც ვართ, ეს ვართო. ერთ ხანობას თქვენეული ტერმინი მეც გავითავისე, ბევრს ვუთხარი, რაც ვართ, ეს ვართ, სხვა გზა არ გვაქვს-მეთქი. არაო, ყველამ ქოში უკუღმა ყარა, რას ჰქვია, ეს ვართ, სად გაგონილა, მოღალატეებს ასე რბილად ექცეოდნენ და თანამდებობებზე აწიონაურებდნენო? დავფიქრდი და მართლაც... დედამიწის ზურგზე იმიტომ არსებობს სამართალი, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს. თუ არ დაისჯება, მოვა და თვითონ დაგსჯის. ცხონებული ზვიად გამსახურდია იძახდა 1991-ში, ესენიც ჩვენი შვილები, დები და ძმები არიან, თუ ტყვიას გვესვრიან, ჩვენ ვარდები ვესროლოთო. მაშინ იქ ვიყავი, ჭორად მოტანილს არ ვყვები, ბრძანება ჰქონდა გაცემული, ერთი წვეთი სისხლი არ დაიღვაროსო... ქართული სისხლი, ჩვენი ჯიშისა და გენისაო, რაც ვართ, ეს ვართო. მახსოვს, ერთხელ ტელევიზიაში მოვიდა, შემოსასვლელში ერთი ცნობილი ქალბატონი გადაუდგა (გარდაცვლილია, შეგნებულად არ გავამჟღავნებ მის ვინაობას), კიკინები გაიშალა, კაშნე მოიძრო და აყვირდა: დამიჭირე, ზვიადი, დამიჭირეეეე!!!

ზვიადის მშვიდი პასუხი: ქალბატონო, სანამ მე პრეზიდენტი ვარ, თქვენ ციხე არ გეღირსებათ.

ბატონო ბიძინა, შეიძლება თქვენ და ზვიად გამსახურდია სხვადასხვა ტიპის მმართველები ბრძანდებით, მაგრამ ერთ დიდ საერთო ხასიათს მაინც ვხედავ – მიმტევებლობას, რაც ხშირად შემოსეული ტურა-მგლებისთვის ხელსაყრელია ხოლმე. ვერ დაგიმალავთ, მე პირადად ძალიან მეშინია, იგივე არ განმეორდეს. თუმცა იმის იმედი მაინც მაქვს, რომ თქვენ თავს გაართმევთ ამ რთულ სიტუაციას და რასაკვირველია, ამაში საზოგადოების არაუმადური, წესიერი ნაწილიც უნდა დაგეხმაროთ. ადრეც დავწერე და გავიმეორებ: მე 1991 წლის დეკემბერში პარლამენტის წინ ცოცხალ ჯაჭვში ვიდექი, რათა კრეტინ კიტოვანს ქაშუეთიდან ჟანგიანი ზარბაზანი არ ესროლა. მაშინ მისი შეჩერება ვერ შევძელით. ახლა კი (გამოცდილება უკვე გვაქვს) ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველო კიდევ ერთხელ არ გადაბუგონ თაღლითებმა, პოლიტიკურმა შულერებმა და ათასი ჯურის ავაზაკებმა.

ამ დღეებში სოსო ცინცაძემ დამირეკა, პოლიტოლოგმა, რომელიც თქვენ პოლიტიკაში შემოსვლისთანავე გააკრიტიკეთ, ლამის სულელი უწოდეთ. არადა, სოსო მართლა განსწავლული ადამიანია და რაც მთავარია, ამ წლების განმავლობაში შორიდან გგულშემატკივრობთ. კაცი გაოცებილია, როგორ შეიძლება, ამდენ ადამიანს ამდენ სიკეთეს უკეთებდე და მერე თითქმის ყველა გლანძღავდესო? მისი აზრით (და მეც ვეთანხმები), ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი არის უმადურობის სინდრომით დაავადებული და პირად ინტერესებს გადაყოლილი. როდესაც ზვიად გამსახურდიას ის ქალბატონი ლამის მუხლებში ჩაუხტა და ეხვეწებოდა, დამაპატიმრეო, მეგონა, ქვეყნის ბედი აწუხებდა. მერე გამოვიკვლიე, გავიკითხ-გამოვიკითხე და არ დაიჯერებთ, თურმე ახალგაზრდობაში ზვიადი ჰყვარებია, მისგან რომანტიკული თანაგრძნობა ვერ მიიღო და მტრად მოეკიდა. მეტიც, ამხელა კაცი სასიკვდილოდ გაიმეტა. ალბათ, დამეთანხმებით, ეს უკვე პირადი ინტერესია.

ჰოდა, სოსო ცინცაძემ მთხოვა, იქნებ ბიძინა ივანიშვილს როგორმე ხმა მიაწვდინოთ, სელექციას მიხედოსო. კი, ბატონო, ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, როგორ იხსნიან ნიღბებს და როგორ შიშვლდებიან ე.წ. ღვაწლმოსილი ადამიანები, როგორ ემსგავსებიან ჰანს ქრისტიან ანდერსენის მიერ აღწერილ შიშველ მეფეს და როგორ იქცა ქვეყანა ჯორჯ ორუელის მიერ აღწერილ ცხოველების ფერმად, მაგრამ ნიღბებჩამოხეულები ხომ უნდა შევცვალოთ ერთგული, სამშობლოსმოყვარული, პატიოსანი ადამიანებით? ახლა არ მითხრათ, რაც ვართ, ეს ვართო. თუ რატომ არ ვართ ეს, რაც ვართ, ანუ რატომ ამოვიდა ლექი ზემოთ, ამაზე მომდევნო წერილში მოგახსენებთ.

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მეტამორფოზა პოეტისა, ანუ „ვინც არ არის კახაბერი“

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ მის ინტერვიუებს რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, დავით მაღრაძე „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის თავგამოდებული მომხრე და ქომაგი იყო, მაგრამ ეს იყო გუშინ, დღეს კი ის აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრებებით მოგვევლინა და იმას, რასაც გუშინ ქება-დიდებას და ხოტბას ასხამდა, დღეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს.

რამ აღაშფოთა პოეტი ასე მწარედ, რამ გამოიწვია მისი მოულოდნელი და უეცარი მეტამორფოზა?

პოეტებს კი ახასიათებთ განწყობის იმპულრსი ცვალებადობა, მაგრამ მაღრაძე ასეთი ტიპის პოეტი არ არის, რომ გრძნობებს აჰყვეს და გულს ცივი გონება არ მიაყოლოს.

მაინც, რა მოხდა და მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანის პარპაშმა აღმაშფოთაო, — ბრძანებს პოეტი და იქვე მეორე მიზეზსაც ამატებს — „ქართული ოცნება“ ახალ სახეებს რომ ეპატიჟება თავისთან, ვის ახვედრებს ამ სახეებს, ზარდიაშვილებსო?!

მოკლედ რომ ვთქვათ, სხვა რაღაც-რაღაცებთან ერთად მურუსიძე-ჩინჩალაძეები და „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალგაზრდული ფრთა არ მოსწონს პოეტს და იმდენად არ მოსწონს, იმდენად არის გაბრაზებული და აღშფოთებული ამის გამო, რომ მთელ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა და თვით ბიძინა ივანიშვილზეც კი გული აიყარა.

ჩვენი აზრით, რაღაცას მალავს ბატონი პოეტი, რაღაცას ტყუის და ცრუობს, თორემ მის მიერ დასახელებული მიზეზები ნამდვილი რომ იყოს, მაშინ, როცა „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს აქებდა, მურუსიძეც იქ იყო, სადაც დღეს არის, ჩინჩალაძეც, ზარდიაშვილიც, მდინარაძეც, თალაკვაძეც, კობახიძეც, თუმცა პოეტისთვის ამას სულაც არ შეუშლია ხელი, მაღალფარდოვნად, მხატვრულად და პოეტურად აღევლინა ხოტბა-დიდების მთელი ციკლი ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მისამართით.

აგერ, ახლახან, ნოემბერში არ იყო, ბატონი პოეტი ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ რომ მართავდა აქციებს და ყელგამოწვდილი რომ ეხვეწებოდა ქართველ ხალხს, მხარი დაუჭირეთ „ქართული ოცნების“ კანდიდატს, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო.

როგორც ამბობენ, ეს ჩვენი პოეტი თავისი გაოპოზიციონერობის ნამდვილ მიზეზებს მალავს, თორემ არ არის მაღრაძე ის კაცი, მურუსიძის ან ზარდიაშვილ-ოხანაშვილის გამო ნერვები აიშალოს და ამხელა ალიაქოთი ატეხოს.

სახელდება ორი ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული მიზეზი, რომელთაგან ვერ გეტყვით, მართლა რამ გააბრაზა ასე მწარედ ბატონი პოეტი, თუმცა ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა — მთავარი ის არის, რომ პოეტი უკვე ოპოზიციაშია და, როგორც თავად ბრძანა, ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად ემზადება, ეს უკვე მეოთხედ.

— სამი მცდელობა უკვე გვქონდა... რაღაც სახალხო ფრონტის მაგვარი მოძრაობა უნდა დავაფუძნოთ და ახლა მეოთხედაც უნდა ვცადოთო, — გაგვახარა პოეტმა ჟიჟილაშვილთან „აღსარებისას“.

— სამჯერ თუ სასიკეთო არაფერი გამოგვიდათ, რა გარანტია გვაქვს, რომ ეს მეოთხე მცდელობა აუცილებლად წარმატებული იქნებაო — წესით და რიგით ეს კითხვა კი უნდა დაესვა ჟურნალისტს ამბოხისთვის აყალყული პოეტისთვის, მაგრამ არ დაუსვა. სამაგიეროდ, მოდით, ჩვენ დავუსვათ: როგორც თავად თქვით, სამჯერ გადაგიდვიათ თავი საქართველოს გადასარჩენად (საქართველოს გადარჩენას თქვენ თქვენს უწმინდეს მისიად და მოვალეობად თვლით...). ამ სამიდან ორს, ჯერ-ჯერობით, თავი დავანებოთ და ქვეყნის „გადარჩენის“ პირველი მცდელობა გავიხსენოთ, როცა „პატრიოტულად“ განწყობილმა ძალებმა, კანონიერად, დემოკრატიულად, არჩევნების გზით არჩეული საქართველოს ხელისუფლება ერთ წელიწადში იარაღით დაამხეს და მთელი საქართველო ცეცხლში გახვიეს.

როგორც ამბობენ, ჯაბა იოსელიანის ახლო მეგობარი ჩვენი პოეტიც „პატრიოტებში“ იდგა იარაღით ხელში და საყვარელი სამშობლოს დასახსნელად და გადასარჩენად თავს არ ზოგავდა.

მართალია, დახსნისა და გადარჩენის ნაცვლად სამშობლო ხელში შემოეფშვნათ და შემოენგრათ, მაგრამ ეგ არაფერი — რაც მთავარია, „დიქტატორი“ გამსახურდია ხომ დაამხეს და „დემოკრატი“ შევარდნაძე ხომ მოიყვანეს ხელისუფლებაში.

რამდენიც არ უნდა მოვიქაჩლოთ და მოვისულელოთ თავი, ფაქტია — ყველა უბედურება, რაც დღეს საქართველოს სჭირს, იმ ავბედითი 90-იანი წლებიდან იმ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალებიდან იღებს სათავეს.

როგორი საინტერესოა, პოეტ დავით მაღრაძეს, ყველაზე ჰუმანური, ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე მიმტევებელი პროფესიის წარმომადგენელს, რომელიც ადამიანთა შორის სიყვარულის, თანადგომის, თანალმობის მქადაგებელი უნდა იყოს, ხანდახან მაინც თუ ეწევა სინანულის, გნებავთ, უხერხულობის გრძნობა იმ ტრაგიკულ მოვლენებში აქტიური მონაწილეობის გამო, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყნის ნგრევას, გაპარტახებას, ტერიტორიების დაკარგვას.

სინანული კი არა, ისე ლაპარაკობს, თითქოს ქვეყნის მხსნელი და გადამრჩენელი ერთადერთი მესია, ერის სულიერი მამა და მოვლენათა მთავარი გმირი იყოს, რომელსაც უფალმა დაავალა, ამ უბედურ ქვეყანას უპატრონეო.

და ისიც „პატრონობს“ — თავის „მისიონერებთან“ ერთად — ერთს რომ გაუშვებს, მეორე მოჰყავს, მერე ის მეორეც რომ არ მოეწონება, მესამეთი ჩაანაცვლებს.

ახლა მეოთხე წრეზე აპირებს წასვლას და „დაიცავი საქართველო“ უნდა ავაღორძინოო, — იძახის.

— ვისგან უნდა დაიცვათ საქართველო ამ „დაიცავი საქართველოთი“, შემთხვევით, ბიძინა ივანიშვილისგან ხომ არაო? — შეაპარა ჟურნალისტმა პოეტს.

პოეტს პირდაპირი პასუხი არ გაუცია, მაგრამ დიპლომატიურად მიანიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს!

მოკლედ რომ მოვჭრათ, 30 წელია, პოეტი „პალაჟენიას“ ალაგებს საქართველოში და თავის ჰამქართან ერთად წყვეტს, ვინ უნდა მივიდეს, ვინ უნდა წავიდეს.

90-იანი წლებიდან დღემდე გამოვლილ გზას თუ დააკვირდებით, ერთ უცნაურ ფაქტს აღმოაჩენთ — 30 წელია, ადამიანთა ერთი და იგივე „სასტავი“, თითქმის უცვლელი შემადგენლობით, პროცესების თავის ჭკუაზე მართვის და თავის თარგზე მოჭრას ცდილობს.

თითქოს იატაკქვეშა მთავრობის მაგვარი რაღაც საიდუმლო, არალეგალური ორგანიზაცია არსებობს და ის ცდილობს, უკარნახოს ლეგალურ ხელისუფლებას, რა აკეთოს და როგორ აკეთოს.

ავადსახსენებელი საძმოების დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ საძმოების მსგავსი კლანური დაჯგუფებები დღემდე არსებობს და მათი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე საკმაოდ მაღალია.

ეს ახალი ტიპის საძმოები, მართალია, დღეს ავტომატებით არ დარბიან ქუჩა-ქუჩა, სამაგიეროდ, ისინი აქტიურად მიდი-მოდიან სამთავრობო კულუარებში, აქვთ სერიოზული კავშირები სახელისუფლო და ბიზნესწრეებთან.

ისინი თვითონ არ ჩანან სცენაზე მაგრამ ის, რაც სცენაზე ხდება, ხშირად მათი კარნახით, მათ მიერ შეკვეთილი სცენარით ხდება, სცენარით, რომელსაც ძალზე პრაგმატული, ფულსა და ეკონომიკურ სარგებელზე დაფუძნებული ინტერესები უდევს სარჩულად, თუმცა ეს ყველაფერი ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით ისე არის შეფუთული და გულუბრწყვილო და მიამიტი მაყურებლისთვის მიწოდებული, რომ მხოლოდ ფინალში შეიძლება მიხვდე, რა მასკარადს უყურებდი.

— ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ყველას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოსო, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა აგერ ახლახან.

„ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“, — ეს ერთმა დიდმა პოეტმა თქვა დიდი ხნის წინათ.

ჩვენი ქვეყნის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ალბათ ის არის, რომ დღემდე ვერ მოხერხდა არა მარტო „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის, არამედ მთლიანად ბოლო 30 წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენების ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასება ერთ საერთო პანორამულ სურათად შეკვრა და ყველაფრისთვის თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

სწორედ ამიტომ ხდება, რომ დღეს კახაბერს ვეძახით იმას, ვინც არ არის კახაბერი.

როცა ბევრი ასეთი ფსევდოკახაბერი გამოდის ასპარეზზე და ერთ დიდ ფსევდოკახაბერულ ალიანსს კრავს ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით, იქ ჭეშმარიტად პატრიოტი და წესიერი ადამიანებისთვის ადგილი არ რჩება.

ჩვენი ყოფის დრამა და ტრაგედია სწორედ აქედან იღებს სათავეს და ეს ყველაფერი მანამდე გაგრძელდება, სანამ ფსევდოკახაბერებს ნიღბებს არ ჩამოვგლეჯთ და ქვეყანას მათ ნამდვილ სახეებს არ დავანახებთ.

●

პოეტი მეოთხე ექსპერიმენტისთვის ემზადება.

სამი ექსპერიმენტი, მისი თქმით, მარცხით დამთავრდა, მაგრამ არა უშავს, მეოთხედაც ცდის.

თუ მეოთხედაც სასიკეთო არაფერი გამოვიდა, მეხუთე წრეზე წავა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ქვეყანაა ეს თუ ექსპერიმენტების ჩასატარებელი ლაბორატორია?

გიორგი გამეზარდაშვილი

მედიადივა თუ „სამადავოლნაია დურა“?

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა TV-პირველის ეთერში შეკითხვებს უპასუხა, ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ მოსახლეობას მოუწოდა: ვისაც ეს ეთერი არ მოგეწონათ, დაშოშმინდით და ნერვებს გაუფრთხილდითო.

გრიგოლიას ეს რჩევა მაყურებლისთვის ზედმიწევნით გამოხატული კეთილშობილების გამო არ მიუცია. ინტერვიუ, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ჩვეულებრივი ამბავია გრიგოლიას გადაცემებისთვის, დაძაბული და „ფეთქებადსაშიში“ იყო. მეორე დღეს ხალხი ამბობდა, ქვეყნის პრეზიდენტი ჟურნალისტმა უსაფუძვლოდ დაამცირაო. არ მოეწონა ეს ინგას და, სწორედ ამიტომ მოუწოდა ცინიკურად მოგვიწოდა ნერვების გაფრთხილებისკენ.

როგორც ჩანს, იცის ტელეწამყვანმა გაფუჭებული ნერვები რამდენ პრობლემას იწვევს. ფაქტი სახეზეა – მისი არც ერთი ეთერი წყნარი და კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში არ მიმდინარეობს, რაც ნიშნავს, რომ ქალბატონი გრიგოლია ძალიან მაგრადაა აღგზნებული და გაღიზიანებული.

ამ აღგზნების ფონზე, თავად მიიჩნევს, რომ ის ქმნის შოუს, პოლიტიკურ შოუს, რომელიც, უნდა ითქვას, თვალსასეირო და ყურმოსაფხანი არ უნდა იყოს ამ რთულ პოლიტიკურ გარემოში. არადა, მიდის ყოველ საღამოს რესპონდენტების გამიშვი-დამაკავე. ამას ზედ გრიგოლიას მრისხანე ბარიტონი რომ ერთვის, მფარველმა ანგელოზმაც რომ გთხოვოს, ნერვები მოთოკე და დამშვიდდიო, მაინც ვერ მოახერხებ. მოკლედ, ისედაც დაძაბულ ცხოვრებაში, საღამოობით ტელევიზორს რომ მიუჯდები და იქედან ყიჟინას გაიგონებ, არ უნდა აღელდე, თურმე, თორემ ქალბატონი გრიგოლია, ცინიკურად მოგიგებს: ნერვებს გაუფრთხილდი, 21-ე საუკუნეაო. ახლა სად იწყება დემაგოგია და სად მთავრდება ზრდილობა ამის გარკვევას დიდი დრო დასჭირდება.

სხვა საქმეა, ვინმეს მოსწონს თუ არა სალომე ზურაბიშვილი, როგორც პრეზიდენტი. ჯერ მის საპრეზიდენტო საქმიანობაზე, პრონციპში, ვერც ვერავინ ილაპარაკებს, მაგრამ, როგორც რესპონდენტს, როგორც უფროს ქალბატონს და ბოლოს, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, თუ შენს ქვეყანას პატივს სცემ, მის ხალხს, ამ ხალხის არჩევანს, სახელმწიფოს კონსტიტუციას ემორჩილები, ელემენტარულად, „ბუნტი“ არ უნდა აუტეხო ეთერში და მოგწონს თუ არა ქალი პრეზიდენტი, აგდებულად არ უნდა ელაპარაკო.

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ჟურნალისტს ასეთი მჭახე ხმა აქვს და ასეთი მანერები და სპეციალურად პრეზიდენტისთვის ვერ შეიცვლებოდა. გასაგებია, მაგრამ ხმამაღალი, როხროხით ლაპარაკი ხელების ქნევით და თითების ფარჩხვით, ტელეეკრანზე ფეხებგადაგრეხილი ჯდომით ისე, რომ ტუფლს ლანჩაამობრუნებულს ხედავს ოპერატორის მონიტორი, ეს ყველაფერი კი სხვა არაფერია, თუ არა აღზრდის ნაკლებობა. ბოლოს და ბოლოს, ხმას ვერ იმორჩილებს, ეს გასაგებია, მაგრამ ფეხები რომ არ მოღრიცოს და ტუფლი არ ამოატრიალოს, ისეთი ჟურნალისტი ამ ქვეყანაში არ მოიძებნა პრეზიდენტთან სალაპარაკოდ? საკუთარ ქვეყანას პატივი რომ ვცეთ, იმას ვამბობ, თორემ, ფეხებს კი გაასწორებს ქალბატონი ინგა, პატარა გოგო აღარაა და არ გაუჭირდება ფეხების შეტყუპება. ისე, რამდენადაც ვიცი, წესიერ საზოგადოებაში დიდ სირცხვილად ითვლება ხმამაღლა და პარჭყვით ხელებისა და ფეხების ღრეცვა, მით უფრო, იმ ევროპაში, ქართველი ე.წ. „ელიტარები“ მისაბაძ მაგალითად რომ გვიხატავენ...

სხვათა შორის, ქალბატონი გრიგოლია ჟურნალისტის პროფესიის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ, ლონდონშიც კი იყო მივლინებული და თუ ის ქართულ პუბლიკას მართლაც ფეხზე არ გვიკიდებს, რომ არ სცოდნოდა, იქ მაინც ასწავლიდნენ, მაყურებელს პატივი რომ უნდა სცე, რესპონდენტს ლაპარაკი რომ უნდა დაამთავრებინო და ქვეყნის პირველ პირად სახელმწიფოს უმაღლესი კოდექსით დამტკიცებულ ადამიანს პატივისცემით რომ უნდა ელაპარაკო ჟურნალისტმა და არ დაიწყო პრეზიდენტის ე.ი. ქვეყნის უპატივცემულობა და მის წინაშე ყოყლოჩინობა – არიქა და, რას ჰქვია, ქალმა, სალომე ზურაბიშვილმა მე, დიდ ინგა გრიგოლიას შენიშვნა მომცა და პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები განმიმარტაო.

პროტოკოლი, პროტოკოლიო, პროტოკოლის დარღვევა-არდარღვევაო, ეს იყო მეორე დღეს გრიგოლიაზე „არანაკლები კვალიფიკაციის“ მქონე უცხოეთში კურსებგავლილი ჟიჟილაშვილ-ტრაპაიძის გადაცემის მთავარი კოზირი, ანუ მელამ კუდები მოწმედ მოიყვანაო და პრეზიდენტები ტელე-სტუდიებში დადიანო, კეთილი ინებოს სალომე ზურაბიშვილიც მოვიდეს, როცა დავუძახებთო. – პრეიზდენტი, პრეიზდენტიო, იძახდა ქალბატონი ინგაც. პრეიზდენტიო და ამის მეტყველების მასწავლებელი ვინაა, ის მანახა, ძალიან მაინტერესებს. თანაც ხელების შლას და თვალების ყვლეპას, რამდენადაც გამიგონია, მიგაჩვიათ სააკაშვილმა. მაგრამ მიშა აღარ არის, ამიტომ კარგად გაახილეთ და დაინახეთ, სხვა რეალობაა დღეს. გაიგეთ, რომ ერთხელ და საბოლოოდ ამ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტებს და უმაღლესი თანამდებობის სახელმწიფო პასუხისმგებელ პირებს პატივი უნდა სცეთ, თუნდაც იმიტომ, თავადაც რომ იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ხალხის წინაშე...

2010 წელს საინფორმაციო სააგენტოები და სხვა მედიასაშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ყოფილი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იყრიდა კენჭს.

როგორც ვნახეთ, ქალბატონ ინგას პოლიტიკაში არ გაუმართლა და მალე ისევ მედიას მიუბრუნდა. ყოფილი ჟურნალისტი, როგორც მაშინ პრესა იუწყებოდა, კვლავ მოქმედი გახდა. სხვა პარადოქსებთან ერთად, რომელ ქვეყანაში ხდება პერსონა ჯერ ჟურნალისტი იყოს, მერე გაპოლიტიკოსდეს, მერე ისევ გაჟურნალისტდეს? სადმე ხომ უნდა შეჩერდეს ადამიანი?! მაგრამ გრიგოლიას შეჩერება შეუძლებელია. ის ე.წ. მედიაბულდოზერია ტელევიზიაში და რადგან, როგორც კერძო მედიამფლობელებმა, ისე თავად გრიგოლიამაც მშვენივრად იცის დღევანდელი პუბლიკის მოთხოვნილება, აწვდის და აჩეჩებს მდარე გემოვნებით და საეჭვო პროვინციალიზმით გაჟღენთილ ხმაურიან პოლიტიკურ შოუებს თეატრს და კონცერტს დანატრებულ ადამიანებს.

გრიგოლიას უხარია, რეიტინგი მაქვსო.

სოციალური ქსელი კი პირიქით ლაპარაკობს.

რუსუდან ნაჭყებია: სანამ ქვეყანაში გრიგოლია ჟურნალისტად ითვლება, არაფრის იმედი არ მაქვს. მეტი გაუნათლებლობა მე არ ვიცი. სამადავლონაია დურა! სირცხვილია.

Darejan Qoride: ...აუუუ, ეგეც მყავს მედიის დედოფალი. ამბიციების ტიკინაა და ეგაა... ახლა ვხვდები, პიარით როგორ ფარავს თავის უნიჭობას... თემა არ აქვს ქალს, გარდა სკანდალებისა და პოლიტიკური ჭორებისა... რაიმე ღირსეული მისი შექმნილი და მოფიქრებული იცის ვინმემ? დედა რა ძაან ბანძია...

Natela Lasurashvili: უზრდელი რატომ უნდა გიწოდონ ან უტაქტო? ჟურნალისტიკის საფუძვლებს როცა ეუფლებოდით, მაშინ ნუთუ ეთიკის ნორმები არ გასწავლეს ქალბატონო ინგა?

ზღვარს რატომ უნდა გადასცდე და საქართველოს პრეზიდენტს, ასაკით უფროსს და ბოლოსდაბოლოს უბრალოდ ადამიანს ასე როყიოდ როგორ უნდა ესაუბრო გამოცდილი ჟურნალისტი? დიპლომატიას არავინ გთხოვთ, სხვას თუ არა, საკუთარ თავს მაინც უნდა სცეთ იმდენი პატივი, რომ უამრავ ადამიანთანს არ ალანძღინოთ თავი...“

ეს რამდენიმე ფეისბუკ-კომენტარია იმ უამრავთაგან, სადაც ქალბატონი მედია-დივას ეთერს აფასებენ მაყურებლები.

ჩვენი ხალხი შემწყნარებელია.

ეს ერთი ან მეორე შემთხვევა რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა ასე მწვავედ არც ეგრძნო მაყურებელს, მაგრამ ინგა გრიგოლიას სტილი იმდენად გამაღიზიანებელი, შეურაცხმყოფელი, დაძაბული და რესპონდენტისადმი უპატივცემულობის გამომხატველია, რომ გადაცემების ეს ზოგადი ფონი მაყურებლის და სტუმრის უპატივცემულობას უსვამს ხაზს, პირდაპირ და ძალიან უხეშად, სხვათა შორის!

ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ქალი, რომელიც თითქმის ყველა ჟურნალისტისთვის და რამდენადაც ვიცი, თვით ინგა გრიგოლიასთვისაც მაგალითია ბრძოლის, თვითდამკვიდრების და პროფესიონალიზმის, ქალბატონი ოპრა უინფრი ამბობს: „არ არის ისეთი საშინელი არაფერი, ვიდრე ადამიანს აგრძნობინო, რომ არარაობაა. შესაბამისად, საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეგიძლია, არის ის, რომ ადამიანს საკუთარი მნიშვნელობა აგრძნობინო“.

ქალბატონი ტელეწამყვანი თავის ყველა გადაცემაში ხაზს უსვამს საკუთარ აღმატებულობას რესპონდენტებთან შედარებით, იმ აღმატებულებას, რომელიც სინამდვილეში ფარსია, რადგან არც ერთი ადამიანი მეორეზე არაფრითაა აღმატებული. ყველას აქვს ცუდი და კარგი მხარე, მაგრამ მორალურ ამბებს რომ თავი დავანებოთ, ამ გადაცემიდან ვერავინ რომ ვერ გაიგო, რა სურდა და რა სჭირდებოდა ხალხს, რა სჭირდებოდა აუდიტორიას, რისი მოსმენა უნდოდა იმ პრეზიდენტისგან, რომელიც პირველად წარსდგა მაყურებლის წინაშე, ამას რა ვუყოთ?!

ამასწინათ ინგა გრიგოლიას გულახდილ საუბარს მოვუსმინე რომელიღაც გადაცემაში. ის ამბობს: მყავს საყვარელი მამაკაცი, რომელიც არ მანერვიულებსო.

იმ მამაკაცს მინდა მივმართო: ჩემო ბატონო, გაიღეთ მსხვერპლი საქართველოსთვის – მეტი დრო დაუთმეთ, მეტი ემოცია მიეცით, მეტი ენერგია დაახარჯინეთ, აღაფრთოვანეთ, თქვენი საყვარელი ქალბატონი რომ მერე ტელეეკრანის წინ უფრო მშვიდად ივჯდეს...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ორმაგი ჩიხი (ურეცეპტობის ტრაგედია)

ვახტანგ ხარჩილავა:

2017 წელს გამოქვეყნებული ეს ჩემი წერილი („ორმაგი ჩიხი“) ქალბატონი თეა წულუკიანის იმ რეპლიკამ გამახსენა, რომელიც მან პარლამენტის სხდომათა დარბაზში შემოსულ გიგა ბოკერიას ესროლა: ბატონო გიგა, მომიტანეთ რეცეპტი, როგორ უნდა შემოვატრიალოთ თქვენს მიერ რუსეთთან წაგებული დავა? არ მომიტანა გიგა ბოკერიამ რეცეპტი, იმიტომ რომ, არ აქვს.

სწორედ ამ ურეცეპტობის ტრაგედიაზეა ჩემს წერილში საუბარი, რომელსაც ორი წლის შემდეგ ხელმეორედ გთავაზობთ.

„ — გაეთრიონ რუსი ოკუპანტები აქედან! სულ მალე ნატოს ჯარები შემოვლენ აქ და საქართველოს დაიცავენ! — ჭექდა ლამის ეროვნულ გმირად შერაცხული ირაკლი და ჩვენ, ბედნიერი და აღტაცებული ქართველები, მხურვალე ტაშითა და ოვაციებით ვაჯილდოვებდით ორატორს.

ამ მრისხანე და ოპტიმისტური სიტყვების წარმოთქმის შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, ირაკლი დაბერდა, დაბერდნენ მისი ტაშისდამკვრელებიც, მაგრამ ნატოს ჯარები ჯერჯერობით არსად ჩანან, სამაგიეროდ, ჩანან რუსები, რომლებიც ყოველდღე ისე გვიახლოვდებიან, სულ მალე ერთმანეთს ცხვირებს მივაბჯენთ.

არის რაღაც ტრაგიკომიკური იმაში, რაც დღეს ხდება — მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია, დაჟინებით ვიმეორებთ, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შევდივართ, მიუხედავად იმისა, რომ კარები ღიაა, ნატოში მაინც ვერა და ვერ შევდივართ.

ნატოში ვერ შევდივართ, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსები შემოდიან უფრო ღრმად და ღრმად, ღრმად და ღრმად…

რაც უფრო ხმამაღლა ვიძახით, რომ ნატოში სულ მალე გავწევრიანდებით, რუსები მით უფრო ღრმად და ღრმად შემოდიან საქართველოში.

არის რაღაც უცნაური და მისტიკური კავშირი ჩვენს ნატოში შესვლასა და რუსების საქართველოში შემოსვლას შორის, თუმცა ჩვენ ამ კავშირის დანახვა ჯიუტად არ გვინდა და მაინც ნატო, ნატოს გავყვირით და, როგორც ჩანს, მანამდე ვიყვირებთ, სანამ ეს რუსები მთელ საქართველოს არ დაიპყრობენ.

რა ვიფიქრო ახლა მე, რუსები იმათ შემოჰყავთ საქართველოში, ვინც ნატო, ნატოს გაიძახის?

ასე გამოდის, თუმცა შეიძლება სინამდვილეში სულ სხვა რამ ედოთ გულში, გულში კი ვის რა უდევს, ამას რა მნიშვნელობა აქვს — მთავარია შედეგი, შედეგი კი ის არის, რაც მოგახსენეთ.

ყველა უბედურებას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები, იმ უბედურების მიზეზი, რაც დღეს ჩვენ გვჭირს, ის არის, რომ ცხონებულ

სიდამონს არ დავუჯერეთ — რას შვრებით, ქართველებო, ვისაა, რომ უჯერებთ, ვისაა, რომ მიჰყვებით, მაგას მე მაღაზიაში არ ვუშვებ მარტოს პურის საყიდლად, თქვენ კი წინამძღოლად აგირჩევიათო, რომ გვეუბნებოდა.

რა თქმა უნდა, მამამ შვილის ამბავი ჩვენზე უკეთ იცოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ერთხელ ვიღაცას რომ ავიკვიატებთ, ერთხელ ვიღაცას რომ ამოვიჩემებთ, ცხვრის ფარასავით დაბრმავებულ-დარეტიანებული მივდევთ უკან, სანამ ის ვიღაცა საყასბოში არ გვიკრავს თავს.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ყასბის დანა რომ მოგვებჯინა ყელზე, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ შეპირებული თავისუფლების ნაცვლად საყასბოში აღმოვჩნდით.

მივხვდითო, კი ვთქვი, მაგრამ მივხვდით კი? რა გვეტყობა ჩვენ საიმისო, რომ რაიმეს მივხვდით, რა გვეტყობა ჩვენ იმის, რომ ძველი შეცდომებიდან რაღაც დასკვნა გავაკეთეთ და ჭკუა ვისწავლეთ?

ჭკუაზე გამახსენდა და ბარემ აქვე ვიკითხავ — ისეთი რა სენი გვჭირს, რომ ჭკვიან და გონიერ ადამიანებს ეჭვის თვალით ვუყურებთ, უჭკუოებს, გიჟებს და სულელებს კი უყოყმანოდ და დაუეჭვებლად რომ ვუჯერებთ?

ბატონ სიდამონს არ დავუჯერეთ-მეთქი, ვთქვი ზემოთ.

სიდამონს კი არა, ილია ჭავჭავაძეს არ ვუჯერებდით ჩვენ და ცოცხალი რომ იყოს, არც ახლა დავუჯერებდით, სამაგიეროდ, ვუჯერებთ მიშიკოს, გრიშიკოს, გივიკოს, თინიკოს, შალიკოს, ზალიკოს, პალიკოს, ვანიკოს და მერე გვიკვირს, რატომ ვართ ასეთ დღეში და რატომ ვისჯებით ასე?

●

ერთი მეგობარი მყავდა — ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი იყო, მაგრამ გული ჰქონდა დიდი და ორ ჭიქას რომ დალევდა, მაინცდამაინც მასზე ორჯერ მაღალ და ზორბა ტიპებს გაექაჩებოდა, რაც, როგორც წესი, დრამატულად მთავრდებოდა ხოლმე, თუმცა ის მაინც არ იშლიდა მისთვის ფრიად საზიანო ამ ჩვევას და საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულ ამ პროვოკაციას ჯიუტად აგრძელებდა.

საქართველომაც ხომ არ მოუწყო საკუთარ თავს დიდი პროვოკაცია, როცა საბჭოთა იმპერიის დაშლის პერიოდში რუსეთს დაუპირისპირდა?

რამდენად იყო გონივრული და წინდახედული ჩვენი იმდროინდელი მოქმედებები და ის რადიკალური ხასიათის განცხადებები, რაც ჩვენს ხალხმრავალ მიტინგებზე ისმოდა?

ამ განცხადებების უკან არ იდგა არავითარი რეალური ძალა, იყო მხოლოდ და მხოლოდ შიშველი ემოციები.

რაც მაშინ, გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ხდებოდა, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა რომანტიკულ-ჰეროიკული პათეტიკით გაჟღენთილ თეატრალურ წარმოდგენას, სადაც ვიღაცები გმირების როლებს თამაშობდნენ და მაყურებლებს არწმუნებდნენ, რომ სწორედ ისინი იყვნენ საქართველოს მხსნელები და განმათავისუფლებლები, რომლებიც შლიდნენ და ანგრევდნენ საბჭოთა იმპერიას.

— არა მარტო საბჭოთა კავშირი დავშალეთ ჩვენ, არამედ გავათავისუფლეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები! — „თავმდაბლად“ განაცხადა ერთმა იმდროინდელმა „გმირმა“ ერთ-ერთ მიტინგზე და მიტინგის მონაწილე ათიათასობით ქართველი ყიჟინით და ოვაციებით შეეგება მის სიტყვებს,

ამ ათიათასობით ქართველსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ საბჭოთა იმპერია მართლა ჩვენ, ქართველებმა, დავანგრიეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც ჩვენ, ქართველებმა, გავათავისუფლეთ.

აი, ასეთი და ამნაირი შინაარსის იყო ის სპექტაკლი, რომელიც, დღემდე არავინ იცის, ვინ დაგვიდგა და არც ის ვიცით, ვინ ცვლიდა გზადაგზა ამ სპექტაკლის დრამატურგიას, ვის გაჰყავდა და ვის შემოჰყავდა ახალი პერსონაჟები სცენაზე, ვინ წერდა ახალ ტექსტს

და ვისი ნახელავი იყო ეს ახალ-ახალი დეკორაციები.

ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სპექტაკლის მთავარი გმირები და, პარალელურად, მაყურებლებიც, ერთმანეთს დაერივნენ და რუსეთის ნაცვლად საკუთარი სამშობლო დალეწეს და დაამარცხეს.

●

როგორც ვთქვით, ნატოში ვერა და ვერ შევდივართ, სამაგიეროდ, რუსები უფრო ღრმად და ღრმად შემოდიან საქართველოში.

საქმეს ვერ შველის ჩვენი დასავლელი პერტნიორების შეშფოთება-აღშფოთება, რუსები ჯიუტად მოიწევენ წინ, რითაც ხაზგასმით აჩვენებენ, რომ, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ძლევამოსილი პარტნიორებიც სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ.

— ეკონომიკური სანქციები მაინც დაუწესეთ ამ ოხრებს, სანამ მთავარი მაგისტრალიც არ გადაუკეტავთ და ზედ მავთულხლართები არ გაუვლიათ, — მოუწოდებენ დასავლეთელ პარტნიორებს ჩვენი „პატრიოტი“ არასამთავრობოები.

ამ პატივცემულმა ორგანიზაციებმა, ალბათ, არ იციან, რომ ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალი ძალიან ფართოდ და მასშტაბურად არის წარმოდგენილი და შესაძლოა, ეს სანქციები ბუმერანგივით მოგვიბრუნდეს უკან.

რუსები შემოდიანო, ბევრჯერ ვთქვი ეს ორი სიტყვა ამ წერილში, თუმცა, სინამდვილეში, რუსები კი არ შემოდიან, უკვე შემოსული არიან საქართველოში.

ერთი კარგად მიმოვიხედოთ გარშემო და დავინახავთ, რომ რუსებს ოთხივე კუთხიდან გამოთოფილები ვყავართ.

ალყაში ვართ ჩვენ, ბიძიკოებო, ალყაში და აქედან ჩვენს დახსნას და გათავისუფლებას არც არავინ აპირებს და რომც დააპიროს, ამას ისეთი კატასტროფული შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის, ქვა ქვაზე არ დარჩება.

აბა, რა ვქნათ?

გულწრფელად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი!

მე რომ არ ვიცი, ეგ არაფერი, მაგრამ საქართველოში ბევრიც რომ არ მეგულება ისეთი, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია, აი, ეგ არის უბედურება.

ოცდაათი წლის წინათ მეც, ბატონმა სიდამონმაც და კიდევ ძალიან ბევრმა, ზუსტად ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა და როგორ საბედისწეროდ განვითარდებოდა მოვლენები ჩვენი ქვეყნისთვის.

ვიცოდით და ხმამაღლა ვამბობდით, ვწერდით, ვიხვეწებოდით, მაგრამ არავის ესმოდა ჩვენი ნათქვამი.

ახლა ჩიხში ვართ, — წინ ვერ წახვალ და ვერც უკან გამობრუნდები, რადგან უკანაც ყრუ კედელია ამოშენებული.

ორმაგ ჩიხში ვყოფილვართ…

ვყოფილვართ და ვიყოთ, რა გაეწყობა…“

„საერთო გაზეთი“
2017 წელი, ივლისი

მუმიების „შერკინება“

თქვენი არ ვიცი, მეგობრებო, მაგრამ მე პირველად გავიგე, მკვდრები ერთმანეთს ქიშპობდნენ, ეკამათებოდნენ და რაც მთავარია, სამომავლო გეგმებს აწყობდნენ. ალბათ, გახსოვთ, თბილისის ყოფილი მერი, გიგილო უგულავა 46 თუ 47 მილიონის მოპარვაზე რომ წაიჭირეს და სამი წლით მატროსოვზე გაამწესეს. გიგილომ დანაშაული აღიარა, არსად უთქვამს, არ მომიპარავსო, ქურდი და ავაზაკი არ ვარო. მიუხედავად ამისა, როცა გამოუშვეს, პირდაპირ ქართულ პოლიტიკაში მოვჯდა და აქეთ დაგვიწყო ტელე-

ვიზორიდან ჭკუის დარიგება. მეტიც, მას შემდეგ ყოველდღე გვიკითხავს ლექციებს კორუფციის თემაზე. ჰოდა, ეს უჯიშო უგულავა ჩემთვის და ჩემნაირებისთვის, როგორც პოლიტიკოსი, მკვდარია. თქვენს მეხსიერებას ვენაცვალე, ალბათ, არც ის დაგვიწყებიათ, თავის „შამქნელ“ სააკაშვილს ჯართი რომ უწოდა. არა, განა მიშა არ არის ჟანგიანი ჯართი? არის, მაგრამ როცა შენს „შამქნელს“ ამას აკადრებ, მაშინ თვითონაც მსგავსი რაღაცა გამოდიხარ – ნაგავი!

რაღა ბევრი გავაგრძელო... ამ დღეებში „ნაცმოძრაობამ“ ყრილობა გამართა, სააკაშვილი თავმჯდომარეობიდან გადაირჩია, მის ნაცვლად გრიგოლ ვაშაძე „აირჩია“. უგულავამ იფიქრა, მორჩა მიშა, ეხლა ჩვენი დროაო და... ისევ დაიწყო ძველებურად – ესაო, ისაო, სააკაშვილი ფორმაში არ არიო, გაცვლდაო, გატყდაო, არაქათი გამოეცალაო. მოკლედ, მისდგა თავის „შამქნელგამკეთებელს“ და ისიც კი დაივიწყა, რომ თავის დროზე მის გარეშე ცოლსაც კი არ ირთავდა. ერთი ის აღარ უთქვამს, მოკვდა მიშა, წადით სახლშიო. არა, მაგას კი არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სააკაშვილი მკვდარია როგორც პოლიტიკოსი? აი, მივადექი მთავარ სათქმელს, ანუ მივედი იქ, საიდანაც დავიწყე – მკვდრები კამათობენ. როდესაც ერთმა მკვდარმა თქვა, მიშა ფორმაში არ არიო, მეორე მკვდარმა ეგრევე უპასუხა:

„გუშინ გიგი უგულავა სულ იმეორებდა „არაა სააკაშვილი ფორმაშიო„. რა თქმა უნდა, მუდმივად საჭიროა საკუთარ თავზე მუშაობა და ძვირფასო გიგი, გისურვებ კიდევ 100 წლის სიცოცხლეს. ამასთანავე, მეც არ ვაპირებ ჯერ სიკვდილს, მაგრამ დაიმახსოვრე, მკვდარი უფრო კარგ ფორმაში ვიქნები, ვიდრე შენ და შენი ზოგიერთი კოლეგა შემდეგი 100 წლის მანძილზე“.

არა, რა�ა... მიშა მკვდარიც კი მაგარია, პირდაპირ ცხრიანში დაურტყა გამოქლიავებულ უგულავას და აგრძნობინა – ბიჭო, მიდი, გაიარე, კოჭი გააგორე, არ დაგავიწყდეს, შენი „შამქნელი“ რომ ვარო... კოლეგებთან ერთად აზრზე მოდი, ხიდზე გადი, მე მკვდარი უფრო კარგ ფორმაში ვიქნებიო!

ეს მეორე მკვდარი მაინც არ ნებდება, მთავარ მკვდარს თავს უტოლებს, ეჯიქება და თავისებურად პასუხობს:

„მე მხოლოდ გამიხარდება, თუ კარგ ფორმაში იქნები და მკვდართან შეჯიბრი არ მომიწევს. საუკეთესო სურვილებით“.

აი, შეჯიბრიო, კაცოოო, შეჯიბრი და გამოწვევაო... გამიხარდება, თუ ცოცხალ სააკაშვილთან მომიწევს პაექრობაო. არადა, უგულავას სიტყვებს შორის აშკარად იკითხება ქვეტექსტები – შენ მაინც მკვდარი ხარ!

უკაცრავად... მე უკვე გული მერევა ამ მუმიების „შერკინებაზე“, ამ უზნეოთა კამათზე, ამ მართლა ჩარეცხილი დამნაშავეების გამოჩენაზე და ამიტომაც თავს აღარ შეგაწყენთ მათზე საუბრით. ვინ, ხალხო, ესენი აპირებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას? არც არსებობს!

P.S. ისე, არ გამიკვირდება, თუ ცოტა ხანში უგულავა ამსტერდამში მიშასთან ჩავა და ჩაეხუტება. ასეთი დოკუმენტური ფილმი ჩვენ უკვე ვნახეთ სათაურით – „ტრაკების ზეიმი“.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„უხილავი სიამოვნება“ ანუ რა მაქინაციები შეიმუშავა სათამაშო ბიზნესმა საბანკო რეგულაციების წინააღმდეგ?

„საერთო გაზეთს“ სამოქალაქო მოძრაობა „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ დამფუძნებელი თამარ ჯაფარიძე ესაუბრა:

– სტატისტიკის თანახმად, საქართველოში 500 ათასი ადამიანი პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია აზარტულ თამაშებში. ქართული საიტების რეიტინგის პირველ ოთხეულში აუცილებლად შეხვდებით მინიმუმ, ერთ ონლაინ კაზინოს, რომელსაც ყოველდღიურად, 120 000-ზე მეტი უნიკალური ვიზიტორი ჰყავს. ბევრი მათგანი ისევე დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე, როგორც ვიღაც სხვა ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე. ამ ბიზნესის წლიური ბრუნვა თითქმის 5 მილიარდი ლარია. ბუნებრივია, ასეთ დამოკიდებულებას უამრავი პრობლემა მოჰყვება. მათ შორის, ფინანსური პრობლემები, ჭარბვალიანობა და ა.შ. მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს ახალი რეგულაციები დაუწესა, ბანკებმა სესხების გაცემაზე მომხმარებლებს შეზღუდვები კიდევ უფრო გაუმკაცრეს. თუ თქვენი შემოსავლის 10%-ზე მეტს აზარტულ თამაშებზე ხარჯავთ, ბანკი სესხს არ მოგცემთ.

– ბანკი როგორ გააკონტროლებს, კაზინოში ვინ რამდენ ფულს ხარჯავს?

– სწორედ ამისთვის შეიქმნა ონლაინ-კაზინოებსა და ტოტალიზატორებში მოთამაშეთა ერთიანი ბაზა. ახალი რეგულაციების თანახმად, თუ სურვილი მაქვს, რომ ვითამაშო, შემოსავლების სამსახურში უნდა წავიდე და მოთამაშედ დავრეგისტრირდე. იუსტიციის სახლიდან ეს ბაზები ყველა სათამაშო ობიექტს გადაეცემა და მხოლოდ დარეგისტრირებულ პირებს მისცემენ თამაშის უფლებას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რისკის შემცირების მიზნით, საკრედიტო ორგანიზაციები „თავგადაკლულ მოთამაშეს“ სესხს აღარ დაუმტკიცებენ, რადგან გამორიცხული არაა, რომ მოთამაშემ ვეღარ შეძლოს თანხის დაბრუნება. თუ, ადრე ბანკი სესხის გაცემის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას მომხმარებლის ონლაინ და მიკრო სესხების ისტორიას აქცევდა, ახლა განსაკუთრებით გამკაცრდა პოლიტიკა იმ მომხმარებლების მიმართ, რომლებიც ონლაინ კაზინოს თუ ონლაინ ტოტალიზატორის აქტიური მომხმარებლები არიან. ამას კი ბანკი ანგარიშის ისტორიით ამოწმებს. თუ თქვენი შემოსავლის 10%-ზე მეტს ხარჯავთ აზარტულ თამაშებზე, ბანკი სესხს არ მოგცემთ, თუმცა, სათამაშო ბიზნესმა ამ სიტუაციიდანაც გამოსავალი მონახა.

– როგორ?

– შეიმუშავეს ძალიან ვერაგი და მზაკვრული სქემა, რომელსაც კომპანია „ბეთლაივი“ უხილავ სიამოვნებას უწოდებს, მე კი უხილავი დაღუპვა დავარქვი. ამ სქემის მიხედვით თანხის გაკონტროლება შეუძლებელია, რადგან სათამაშო ბიზნესმა ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშები ანუ საკუთარი პლასტიკური ბარათები შექმნა, სადაც თანხის ბრუნვა დაფარულია და საბანკო ამონაწერებში არ ჩანს. ინფორმაცია კონფიდენციალურია და ბანკი მომხმარებლის ფინანსურ

ანალიზს ვეღარ ახერხებს. თუ ადრე მაგალითად „თბს ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“ ბარათით შეიძლებოდა დაგენახა რომელ ონლაინ თამაშზე რა თანხა ირიცხებოდა, ახლა ეს შეუძლებელია. ბანკები ვეღარაფერს აკონტროლებენ და ეს არის კატასტროფა. თუ სახელმწიფომ პოლიტიკური ნება არ გამოიჩინა, ჩათვალეთ, რომ სათამაშო ბიზნესთან ბრძოლა წაგებულია. ის კიდევ ბევრ მაქინაციას ჩაატარებს იმისთვის, რომ ადამიანების გაუბედურების ხარჯზე მიღებული შემოსავალი არ შეუმცირდეს. მოთამაშეთა ერთიანი ბაზის შექმნა ამ დამღუპველი სენისგან ახალგაზრდების გადარჩენის შანსი იყო, რომელიც ხელიდან გვეცლება.. ჩვენ ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლებში კვლევებს ატარებს და პარალელურად, მოსწავლეებში გამოკითხვებს ატარებს. წარმოიდგინეთ, 15–17 წლამდე ასაკის 500 ბავშვიდან 51% მოთამაშეა. იმ თინეიჯერს შეუძლია, რომ აიღოს ეს ბარათი და ისე ითამაშოს, რომ ვერავინ შეძლოს მისი იდენტიფიცირება. ბუნებრივია, ეს ყველაფერი გაართულებს მომხმარებლების ფინანსური მდგომარეობას, გაზრდის საბანკო რისკებს და კიდევ უფრო მეტ ადამიანს აქცევს ჭარბვალიანად, რაც ჩვენს მდგომარეობაშიმყოფი ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება.

ნელი თორდია
571 35 36 88

ამათ ხელში, მამულო, ჩემ ფეხებს აყვავდები!

ტრაქტარიანები

კახეთში მავანზე, რომელსაც ვერაფერს გააგებინებენ, იტყვიან ხოლმე ხისთავიანიაო. თუ კიდევ ვერაფერს შეაგნებინებენ – ხეთაგანიაო, ანუ მარტო თავი კი არა, დანარჩენი ორგანოებიც ხისა აქვსო. მოკლედ, ახსნა-განმარტებებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, პირდაპირ საქმეზე გადავალ: მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა დენდროლოგიური პარკის მშენებლობა დაიწყო და აჭარა-გურიაში ხეების შესყიდვას მიჰყო ხელი, ტელებორდელი „რუსთავი 2“ მთლად გამოხეთაგანდა. აი, ბოლოს კი ისე გამოხეთაგანდა, რომ რამდენი ქარი ამოვარდება, ხეთაგანი ნოდარა მელაძე ბიძინა ივანიშვილს აბრალებს. მისი ჭკუით, ბიძინა გვარად სუზსარქისიანია, რომელმაც საქართვცელოს 2012 წლის შემდეგ ქარები შემოაჩვია – ჩეხავს და ჩეხავს ტყეებს, გლეჯს და გლეჯს ასწლოვან ხეებს, მერე ამ განაჩეხ-განაგლეჯ ადგილებში „სკვაზნიაკი“ და ვართ გრიგალ-ურაგან-ოხრობაში.

სხვათა შორის, კახეთში მელაძისა და გვარამიას მსგავსებზე იტყვიან ხოლმე, ტრაქტარიანები არიანო. ტრაქტარიანი ნიშნავს უპასუხისმგებლო, ჰაიჰარა, ტაშკუილა ადამიანს, რომელიც თავისებურად უბერავს და სხვისი არაფერი ესმის.

უკაცრავად... სულ დამავიწყდა, ნიკა გვარამიასთვის მიმესამძიმრებინა... ძალიან ვწუხვარ, ის ახლა „ტრაურშია“... არა, არა, რას ბრძანებთ, ტყ...აური როგორ იფიქრეთ, არ გრცხვენიათ? „ტრაური“, ბატონებო – გლოვა, ცრემლდენა, გულდათუთქულობა და ათასი დოზანა. იცით, რა მოხდა? ამას წინებზე გვარამიას ძაღლი მოუკვდა, თუ გადაიტანა, ვიტყვი, რომ მართლა მაგარი ყოფილა. თვითონ გამოაცხადა, ვერ გადავიტანო, ტაიმი და აუტი უნდა ავიღო, თორემ ვეღარ ვაზროვნებო. გეგონება, მანამდე აზროვნებდა. არა, მე ვიცი, რა ძნელია ადამიანისთვის მეგობრის სიკვდილი, ყველა შინაური ცხოველი დაიფაროს ღმერთმა, მაგრამ იმ კაცუნების გულდათუთქულობისა არ მჯერა, ადამიანებს რომ დიდი სიამოვნებით ისტუმრებენ იმ ქვეყანას და ძაღლებზე კიდევ ცრემლებს აღვარღვარებენ – ვაი, ეს რა დაგვემართაო. ჰმ... გვარამ, შე პიჟონო, დავიჯერო, ბადრი პატარკაციშვილი შენს წუნკალა ძაღლზე ღირებული არ იყო?! ან სანდრო გირგვლიანი შენს ძაღლს ვერ სჯობდა?! რომელი ერთი ჩამოვთვალო?! ნუ, ეხლა, მაინც გისამძიმრებ, მე ხომ შენნაირი ხეთაგანი არ ვარ?!

ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო ტკბილო მკითხველო, ამას წინებზე ქარიანობა რომ იყო საქართველოში, ეს ყოფილა ბიძინა ივანიშვილის ბრალი, რადგან ამან დაგლიჯა ხეები, აღარ დარჩა ქარის შემაკავებელი რაიმე წინაღობა, გამოქროლდა აჭარა-გურიიდან, შემოქროლდა თბილისში, დაჰქროლა ძველ სახლებს, ახადა სახურავები და ჰეეე... დაათხლიშა დედამიწაზე!

ხედავთ, როგორი ემოცია, ექსპრესია და შინაარსი დევს ტელებორდელ „რუსთავი 2“-ის მონათხრობში? თან სიუჟეტი ისეა მოშზადებული, რომ მომდევნო „შედევრი“ თითქმის გაგრძელებაა, ბუნებრივად გადადის ერთი მეორეზე... აი, როდესაც დაჰქროლა ქარმა და სახურავები დაჰყარა ქუჩებში, ამ დროს დაიწყო მაღაზიების, ბანკების, რესტორნებისა და სხვა ობიექტების ძარცვა... ამავე ქუჩებში დაიწყო ტერორი, სისხლისღვრა, პატრიოტების ჩეხვა, დაპატიმრება და... რაც მთავარია, ციდან წამოვიდა ტყვიების ჟუჟუნა წვიმა.

თქვენი არ ვიცი, მეგობრებო, მე კი ძალიან დავიღალე მხოლოდ მოყოლითაც კი. აბა, ახლა მითხარით, ეგეთი ტრაქტარიანების ხელში მამული აყვავდება? არა, გენაცვალეთ, ჩემ ფეხებს აყვავდება!

ფარისევლები

ე.წ. „თავისუფალი დემოკრატები“ „ევროპულ საქართველოს“ შეუერთდნენ და მთაწმინდის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატად შალვა შავგულიძე წარადგინესო. როგორც კი ამ ინფორმაციამ ჩემამდე მოაღწია, ეგრევე გამიჩნდა შეკითხვა: სად ერეკლე, სად – პაპაჩემის ყურებიანი ქუდი, ე.წ. „თავისუფალი დემოკრატები“ ხომ „ნაცებს“ ებრძოდნენ? შალვა შავგულიძე კიდევ ხომ სანდრო გირგვლიანის საქმის ადვოკატი იყო და ასევე „ნაცებს“ ებრძოდა? ანუ ესენი ვისაც ებრძოდნენ, ახლა იმათ შეუერთდნენ? რას ამბობ, რა „ნაცები“, ესენი ხომ „ევროპულსაქართველოელები არიანო? – მეტყვის ვინმე იქითა მხრიდან. აბა, რას ამბობ, კაცოვ თუ ქალოვ, ოდეს ყოფილა, „ნაციონალს“ სისხლი, სინდისი, ჯილაგი, მეობა შესცვლოდეს და გამოსწორებულიყოს? არ არსებობს, მიხოს გინდა შაქრო დაარქვი, გინდა – კირილე, მაინც მიხოა. აჰა, საკუთარი თვალით ნახეთ, რას ამბობს თავად შალვა შავგულიძე:

„ევროპულ საქართველოსთან„ ღირებულებითი თანხვედრა გვაქვს და მათთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებით უხერხულობას არ ვგრძნობ“.

შე კაცო, თუ „ნაცებთან“ ღირებულებითი თანხვედრა გაქვთ, მაშინ ერთნი ყოფილხართ. ისე, რაღა დაგიმალოთ, მოდით, პირდაპირ გეტყვით: მოგიტ...ანთ ღირებულებები!!!

ე.წ. „თავისუფალ დემოკრატებში“ ნინო გოგუაძე რომ არის, იცით, ხომ? ოოოჰ, რომელი და ჩუქჩას რომ ჰგავს, რაღაცნაირად ბრტყლად რომ ლაპარაკობს ხოლმე. ეგ გამოიყვანეს ტელევიზორში და ძალიან ბრტყლად განაცხადა, ჩვენაო, დემოკრატები ლევან მურუსიძის დანიშვნას უვადო მოსამართლედ არ ვეთანხმებითო, ვაპროტესტებთო... ორიოდე წუთის შემდეგ კი განაგრძო, ჩვენაო, ამ დღეებში შალვა შავგულიძეს წარვადგენთ გიგა ბოკერიასთან და გიგი უგულავასთან ერთადო. ესე იგი, რა გამოდის? ლევან მურუსიძე არის მოსამართლე და მკვლელებს მიუსაჯა 6–6 წელი, ამ მკვლელობის დამკვეთ-შემოქმედი იყო არა მურუსიძე, არამედ იყვნენ ბოკერია, უგულავა, ახალაიები და სააკაშვილი. თუ ახლა სათანამშრომლოდ მიდიხარ დამკვეთ-შემოქმედებთან, მაშინ ნაძირალა გამოდიხარ შენ, და არა მურუსიძე. „ევროპული საქართველო“ არა, იხვის ტოლმა, ათას ჭუჭრუტანაში იყავით შეგზავნილ-მოსყიდულები და ახლა უბრუნდებით საწყის მდგომარეობას.

შავგულიძე იძახის, „ნაცებმა“ მოინანიეს, ბოკერია კიდე იმ თამარას ქმარი აღარაა, ადრე რო იყოო. თან ამტკიცებს, ჩვენ თუ არ გავერთიანდით, ამით გარეშე მტერი ისარგებლებსო. არ აკონკრეტებს, რომელ მტერზეა ლაპარაკი... ალბათ რუსეთს გულისხმობს. ესე იგი, თუ შავგულიძე უგულავა-ბოკერიას არ შეეკრა, ამით რუსეთი ისარგებლებს და მავთულხლართებს კიდევ ერთხელ გადმოსწევს.

ამხანაგებო, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ყველამ ერთად გადავიხარხაროთ: მმმმუუუაჰაჰაჰაჰაჰააააა!

შენ კი, მამულო, საცოდავო, ეგეთი ფარისევლების ხელში, ჩემ ფეხებს ავყავდები!

ყურუმსაღი

ირაკლი ოქრუაშვილი გახსოვთ? აბა, რა დაგავიწყებთ მის მიჩმორებულ სახეს, ჩაქინდრულ თავსა და სპორტულებს? ჰო, მიხა სააკაშვილს რომ გადაუდგა და იმან კიდე ერთ დღეში მიაჩუხანმიაიმასქნა თავისებურად. მაშინ ეს ტრიპაჩა ჩასვეს „სამალიოტში“ და გაუყენეს ფრანციის გზასა. მაინც ვერ გაიმეტა მიხომ ბოლომდე, ვერ ჩაკლა სადმე უღრანში, რადგან ამან ყველაფერი „მოინანია“, ჩაიფსა და ჩაისვარა სახალხოდ. მერე ფრანციიდან კარგახანს იძახა, სააკაშვილს უნდა ჩავხედო თვალებშიო. დღემდე ვერ ჩახედა, მხოლოდ გრიგოლ ვაშაძეს ჩახედა და სიყვარული აუხსნა.

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ტრიპაჩა ვერ ჩამოსუნავდა საქართველოში, ვერ გამოეთრეოდა ტელევიზორში და ვერ დაიწყებდა სისულელეების ბრაგუნს. წესით, ეს ნაოხარი სანთელს უნდა უნთებდეს ბიძინა ივანიშვილს და წელიწადში ერთხელ ცხვარსაც უკლავდეს, მაგრამ პირიქით იქცევა, აქეთ ლანძღავს, აქეთ ემუქრება, უნდა დავამხოთო, უნდა გავაგდოთო. არა, თქვენ კი იტყვით, შენი დამხობილ-გაგდებული არ გაიშვა გორამდეო... მეც მაგ აზრზე ვარ, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ნეტა რა ცოცხი გაუკეთა მიხომ ამ ცუცურაკს, რომ ბოლომდე გამოდებილდა?!

- ალიოოოო, ალიო... ირაკლი, რა იყო, ბიჭო, რა გაგიკეთა მიხომ ამნაირი? ალიოოოო... არ ისმის?!

ა, ბატონებო, არ მპასუხობს... და რომც მიპასუხოს – რა? მოკლედ, რამდენიმე დღის წინ გამოიყვანეს „პალიტრაში“ და ალაპარაკეს, გეგონება ფილოსოფოსი ადრასტოს აფროდისიელი მყავდეს. ჰოდა, რაკი არ მყავს, ამიტომაც მოხია უამრავი სისულელე:

„მთავარი პრობლემა სულ სხვა რამეშია და ამ პრობლემის სათავე არის ერთი ადამიანი – როგორც „ოცნებაში„ დაპირისპირების, ასევე ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის. ამ ერთ ადამიანს ჰქვია ბიძინა ივანიშვილი. ეს ადამიანი მეშვიდე წელია ქვეყანაში აშენებს რაღაცას, რომელსაც ვერ გავარკვიე, რა ჰქვია და აშენებს ტალახით, თან ფუნდამენტს არ უკეთებს და მერე უკვირთ ხოლმე, რატომ არის ასეთი რყევები სახელისუფლებო პარტიაში. ამ ადამიანმა ვერ შეძლო რაღაც პროექტის შექმნა, რომელიც დაანონსა. ვერც ტელევიზია გააკეთა, ვერც არასამთავრობო დააფუძნა, ვერც სახელისუფლებო პარტია შექმნა, ვერ შექმნა ვერც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, ძველიც ვერ გააძლიერა. შესაბამისად, ამ ადამიანს არ გააჩნია გამოცდილება, სურვილი, შესაძლებლობა, რაღაც პოზიტიური შექმნას“.

აჰა, გაიგონეთ? თურმე ბიძინა ივანიშვილს არ გააჩნია გამოცდილება, სურვილი და შესაძლებლობა, რომ რაღაც პოზიტიური შექმნას. საამისო გამოცდილება, სურვილი და შესაძლებლობა გააჩნიათ ირაკლას, გრიგოლას, ბოკერიას, უგულავას და სხვა ნაყარ-ნუყარებს. არაო, კაცო, პოზიტიურის კეთების სურვილი ივანიშვილს არ აქვსო. ამ დროს წამყვანი ზის და სტუდიაში ითვლის ბუზებს, არ ეუბნება, ჩემო ლუარსაბ, მა სამება? მა 500-ზე მეტი რესტავრირებული ეკლესია-მონასტერი? მა 800-მდე გარემონტებული სკოლა? მა გარემონტებული „ოპრი“ თეატრი? მა გარემონტებული რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები? მა უამრავი გზა და კვალი? მა 600 ათასი ვალჩამოწერილი? არაო, ეს ყველაფერი პოზიტიური კი არა, ნეგატიურიაო, – ბუყბუყებს წყალში გაკუებულივით ირაკლი (ლუარსაბი) ოქრუაშვილი.

ყველაზე მაგარი კი, ამ ყურუმსაღმა, ბოლოს წამოაწვინა... ისაო, ნატოში ჩვენი გაწევრების გადაწყვეტილება, ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს, ივანიშვილი ხელს ვერ შეგვიშლისო. აი, ამაზე რა უნდა ვთქვა? ვაი, მამულო, საცოდავო, თავდაცვის ეგეთი მინისტრი რომ გყავდა, ჩემ ფეხებს აყვავდები!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

პოლიტიკური შოუ გრძელდება

ქვეყნის მეთაურის თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლა სამყაროში იშვიათი მოვლენაა. ასეთი განსაკუთრებული და მოულოდნელი შემთხვევა გასულ კვირას ყაზახეთში მოხდა. ქვეყნის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მოსახლეობას ტელევიზიით საგანგებო გამოსვლისას ამცნო თანამდებობიდან წასვლის შესახებ, იქვე მოაწერა ხელი პრეზიდენტის რანგში ბოლო განკარგულებას გადადგომის შესახებ. პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური დიდხანს არ ყოფილა. ნაზარბაევის განცხადებიდან მეორე დღეს პრეზიდენტის თანამდებობა ყაზახეთის სენატის (პარლამენტის) ხელმძღვანელმა კასიმ ჯუმარ ტაკაევმა გადაიბარა და ფიციც დადო. მოვალეობას იგი 2020 წლამდე, მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეასრულებს.

ნურსულთან ნაზარბაევი პოსტსაბჭოთა დროინდელი ბოლო მმართველი იყო. იგი ჯერ კიდევ 1984 წელს დაინიშნა ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, მოგვიანებით, რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი აირჩიეს პრეზიდენტად. ექსპერტები მის პრეზიდენტად მოღვაწეობას წარმატებულად აფასებენ. ნაზარბაევის მმართველობის პერიოდში ყაზახეთი ეკონომიკურად საკმაოდ გაძლიერდა. ამის მიზეზად მხოლოდ ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს როდი ასახელებენ, აღნიშნავენ ქვეყნის ეფექტურ მმართველობასაც. საერთოდ, ყაზახეთი ერთადერთი ქვეყანაა შუა აზიაში, რომელმაც შეძლო „ფერადი რევოლუციების“ თავიდან აცილება. თუმცა რამდენჯერმე იყო მცდელობა, მოეწყოთ არეულობა, მაგრამ უშედეგოდ. პოლიტოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ნაზარბაევის მიერ დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკაზე. იმის გარდა, რომ იგი იყო ევრაზიის კავშირის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, ნაზარბაევი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჩინეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რუსეთთან, საერთოდ, თითქმის ყველა ქვეყანასთან.

თავდაპირველად ნაზარბაევის განცხადებამ გადადგომის შესახებ გაოცება გამოიწვია. უახლოეს პარტნიორსა და მეზობელი ქვეყნის, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მხოლოდ ორი საათით ადრე აცნობა, რომ თანამდებობიდან წასვლას აპირებდა. პოლიტოლოგები ნაზარბაევის თანამდებობიდან წასვლას კარგად მოფიქრებულ, გააზრებულ ნაბიჯად აფასებენ. იგი წელს 79 წლის ხდება, ქვეყანას 30 წელია, ხელმძღვანელობს. თუმცა აღსანიშნავის ის გარემოებაც, რომ ნაზარბაევი ხელისუფლებიდან არ წასულა, იგი სიცოცხლის ბოლომდე უხელმძღვანელებს ყაზახეთის უშიშროების საბჭოს, ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები ექვემდებარება. პოლიტოლოგების ვარაუდით, ნაზარბაევი გარედან დააკვირდება ქვეყნის მომავალი მთავრობის დაკომპლექტებას და საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც მომავალ წელს უნდა გაიმართოს.

ყაზახეთის ახალი, უკვე მოქმედი პრეზიდენტი კასიმ ჯუმარ ტაკაევი 65 წლისაა. იგი პროფესიით დიპლომატია. დამთავრებული აქვს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. მუშაობდა ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამყვან თანამდებობაზე. 2015 წლიდან სენატს ხელმძღვანელობდა. ფიცის დადების ცერემონიალზე ტაკაევმა წამოაყენა წინადადება, რომ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანას გადარქმეოდა სახელი და „ნურსულთანი“ ეწოდებინათ. სენატმა, რომელსაც უკვე ნაზარბაევის ქალიშვილი ხელმძღვანელობს, დაამტკიცა ახალი პრეზიდენტის წინადადება. ტაკაევის განცხადებით, ამით მან ყაზახ ხალხთან ერთად პატივისცემა გამოხატა ქვეყნის პირველი პრეზიდენტისადმი. დედაქალაქისთვის სახელის გადარქმევის იდეამ ოპოზიციის პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ისეთი მცირერიცხოვანი აქცია გაიმართა, რომ ამას არანაირი გართულება არ მოჰყოლია. ვნახოთ, როგორ გააგრძელებს ტაკაევი ნაზარბაევის მიერ გაკვალულ გზას.

ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც იქნა, მუშაობა დაასრულა პროკურორ მიულერის სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა (შეგახსენებთ, აღნიშნული კომისია იძიებდა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის რუსეთთან კავშირს). გამოძიების მასალები მიულერმა გასულ კვირას გადაუგზავნა აშშ-ის მთავარ პროკურორს უილიამ ბარის. დემოკრატი კონგრესმენები კატეგორიულად ითხოვდნენ, არ გაესაჯაროებინად მასალები, ვიდრე თავად არ გაეცნობოდნენ. თავად დონალდ ტრამპი ტრადიციულად ოპტიმისტურად იყო განწყობილი და აცხადებდა, რომ ვერაფერს იპოვნიდნენ. ამასთან, მოითხოვდა, გაესაჯაროებინათ მასალები, რათა ამერიკელ ამომრჩეველს სცოდნოდა სიმართლე. „...კანონზე მაღლა არავინ არის, მათ შორის პრეზიდენტი“, — განაცხადა ტრამპმა.

მთავარმა პროკურორმა უილიამ ბარიმ ორი დღის წინ გაასაჯაროვა მიულერის საგამოძიებო ჯგუფის მასალების რეზიუმე, რომელიც ოთხ გვერდზე დაეტია. როგორც მოსალოდნელი იყო, სპეციალურმა კომისიამ ვერ მიაგნო ტრამპის საარჩევნო შტაბის რუსეთთან კავშირის კვალს. „...სირცხვილია, რომ ქვეყანას, პრეზიდენტს მოუხდა ასეთი გზის გავლა“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა ბარის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ. მისივე თქმით, უქმად დაიხარჯა დრო და 30 მილიონ დოლარზე მეტი თანხა. მიულერის გამოძიების შედეგებით გაოცებულნი არიან ამერიკელი ჟურნალისტებიც. მათ აინტერესებთ, თუ ხელშესახები არაფერი ჰქონდათ, რატომ დასჭირდა ძიებას ორი წელი და ბიუჯეტიდან კოლოსალური თანხის ხარჯვა.

დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგე დემოკრატი და რესპუბლიკელი კონგრესმენები მიულერის ჯგუფის მუშაობით უკმაყოფილოები არიან და არაგულწრფელობასაც აბრალებენ. მათი განცხადებით, მიულერმა არასრულფასოვნად იმუშავა. ამის გარდა, ისინი უკვე აპირებენ კონგრესში დაიბარონ მთავარი პროკურორი უილიამ ბარი. ექსპერტების განცხადებით, ტრამპის მოწინააღმდეგეებს არ უნდათ სიმართლის დაჯერება, მათი მიზანია, როგორმე იპოვონ თუნდაც მცირე მიზეზი იმპიჩმენტის ასაგორებლად. სავარაუდოდ, სიმართლე თქვა დონალდ ტრამპმა: „...ასეთი სულელური გამოძება არ მინახავსო“, მის წინააღმდეგ შოუ, სავარაუდოდ, კვლავ გაგრძელდება.

ახალი იდეებით კვლავ გააოცა სამყარო გასულ კვირას დონალდ ტრამპმა. ჯერ იყო და ბრაზილიას შესთავაზა ნატოში გაწევრიანება, რაც წინააღმდეგობაშია ორგანიზაციის წესდებასთან. ამის გარდა, მისი განცხადებით, ჩრდილოეთ კორეისთვის სანქციების გამკაცრებას ან ახლის დაკისრებას არ აპირებს, რადგან, მისი თქმით, კიმ ჩინ ინთან კარგი დამოკიდებულება აქვს.

ყველაფერ ამასთან ერთად, დონალდ ტრამპმა გოლანის მაღლობს, რომელიც ისრაელის სამხრეთით მდებარეობს და 1967 წელს დაიპყრო, ყველა საერთაშორისო ნორმების დარღვევით ისრაელის საკუთრებად ცნო. ამან რეგიონში ვითარება უკიდურესად დაძაბა. ამის გამო აშშ-ში მყოფ ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს ვიზიტის ვადამდე შეწყვეტა მოუხდა. ტრამპის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ ნეთანიაჰუს ის კალამი აჩუქა, რომლითაც პროკლამაციას მოაწერა ხელი, მსოფლიოს ქვეყნები არ ეთანხმებიან და არც აპირებენ გოლანის მაღლობის ისრაელის შემადგენლობაში აღიარებას.

ჩინეთის ლიდერი სინ ძინ პინი ევროპაში ოფიციალურ ვიზიტს ახორციელებს. გასულ კვირას იგი იტალიაში იმყოფებოდა, სადაც პრემიერ-მინისტრ ჯუზეპე კონტესთან ერთად დაესწრო გლობალურ სატრანსპორტო პროექტში — „ერთი მატარებელი, ერთი გზა“ იტალიის ჩართვის ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალს. აღნიშნულ პროექტს ეწინააღმდეგეებიან აშშ და ევროკავშირი. იტალია პირველი ქვეყანა აღმოჩნდა „დიდი შვიდეულის“ წევრთაგან, რომელიც აღნიშნულ პროექტში ჩაერთო.

იტალიიდან სინ ძინ პინი ორშაბათს საფრანგეთში ჩავიდა, სადაც უკვე შეხვდა პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს. დაგეგმილია დიალოგი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და ევროკავშირის კომისარ ჟან-კლოდ იუნკერთან. რა შედეგებით დასრულდება შეხვედრები, მოგვიანებით გახდება ცნობილი. თუმცა პოლიტოლოგები დიდი ხანია, აღიარებენ, რომ ევროპაში ბუნდოვანი ვითარებაა.

დიდ ბრიტანეთში პრემიერ ტერეზა მეის საკუთარი კაბინეტის მინისტრებიც კი აუმხედრდნენ. მოსახლეობა კი დაბნეულია ე.წ. „ბრექსიტით“, რომლის წინააღმდეგ აქციები იმართება. განმეორებით რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის პეტიციას 5 მილიონმა ადამიანმა მოაწერა ხელი. ახალი რეფერენდუმის ჩატარება კი, ექსპერტების შეფასებით, დემოკრატიის დასამარება იქნება.

საფრანგეთში კი მანიფესტაციები არ წყდება, თუმცა პრობლემების მოგვარების ნაცვლად, მაკრონმა მომიტინგეებს შეკრების არეალი შეუზღუდა. მართალია, ბუნებრივად დღის ხანგრძლივობა გაიზარდა, მაგრამ ვითარება მსოფლიოში პოლიტიკურად კვლავ ბუნდოვანია.

გია ბურდული
551 71 27 07

პოლიტპარადოქსები

უჩრდილოთა და ჩრდილიანთა შესახებ

— თქვენ ადეიშვილის ჩრდილის გავლენის ქვეშ იმყოფებითო, — უთხრა ოთო კახიძემ თეა წულუკიანს.

— ადეიშვილის ჩრდილის გავლენის ქვეშ როგორ ვიქნები, კაცის, რომელმაც 2 ოქტომბერს მოცოცხა და ახლა ხან ერთ უნგრულ ბუჩქს ეფარება და ხან მეორეს? — გაიკვირვა წულუკიანმა.

მანამდე უგულავამ იგივე თქვა კახი კალაძეზე — ეგ ჩემი ჩრდილიდან ვერ გამოსულაო.

ნაცების აზრით., ახლა წულუკიანი განიცდის თურმე ადეიშვილის ჩრდილის გავლენას.

კარგით რა, ნაციკოებო, რეებსაა რომ ბოდავთ — უგულავა და ადეიშვილი ხომ ის ორი ხეა (ერთი გრძელი, მეორე მოკლე), რომლებსაც ჩრდილი არ აქვთ. ასეთ ხლეებს კი ხე კი არა, სამი ასოსგან შემდგარი სულ სხვა სახელი ჰქვიათ, ისეთი სახელი, პარლამენტის ტრიბუნიდან ხმამაღლა რომ იტყვი და ვერც ქაღალდზე დაწერ.

მამათა (დედათა) და შვილთა ბრძოლა

„ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებას ვიღაც-ვიღაცები თაობათა შორის დაპირისპირებად ნათლავენ.

ზოგიერთები უფრო შორს მიდიან და ეს დაპირისპირება მამათა და შვილთა ბრძოლასაც აგონებთ მე-19 საუკუნიდან, როცა გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე ჩაებნენ „სამკვდრო-სასიცოცხლო“ პაექრობაში და სულ ლექსებით ბომბეს ერთმანეთის ბანაკები.

„ქართულ ოცნებაში“ არც ორბელიანები არიან, არც ჭავჭავაძეები, ლექსებსაც ერთი თალაკვაძეღა წერს „შვილებიდან“ მაგრამ მავანთა და მავანთა მხურვალე ფანტაზიის წყალობით ეს ყველაფერი მაინც მამების და შვილების ბრძოლად ეჩვენებათ.

ცდებით, თქვენ ბატონებო, ცდებით — თაობათა შორის დაპირისპირებად ეს უთანხმოება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, მათ შორის რაღაც სახის იდეოლოგიური უთანხმოება და შეუთავსებლობა რომ არსებობდეს.

აბა, რა სახის იდეოლოგიური განსხვავება შეიძლება იყოს, ვთქვათ და კობახიძეს და ბესელიას შორის, ოხანაშვილსა და კვაჭანტირაძეს შორის, გედი ფოფხაძეს და თალაკვაძეს შორის — ყველანი დემოკრატიას აშენებენ, ყველანი პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსები არიან, ყველანი ერთი და იგივე ფასეულობებს დაღირებულებებს აღიარებენ.

— მურუსიძის და ჩინჩალაძის მოსამართლეობას ვერ შევეგუებით, სასამართლო სისტემა კლანისგან უნდა გათავისუფლდესო, — კატეგორიულად აცხადებენ მამები (დედებიც).

— მურუსიძეც, ჩინჩალაძეც, გვრიტიშვილიც, მეთოფიშვილიც ექვსი წლის განმავლობაში იქ გყავდათ და ხმა არ ამოგიღიათ. ახლა რამ გაგაცოფათ, თქვე დალოცვილებოო, — გაოცებულნი ეკითხებიან მამებს (დედებს) შვილები.

ეგენი ხომ გუშინ იყვნენ ცუდები, თორემ დღეს კარგები არიან…

მით უმეტეს, რომ, როგორც პოეტმა რეზო ამაშუკელმა აღმოაჩინა, მურუსიძე თურმე ჯოკონდას ჰგავს სახით და ღიმილიც ჯოკონდასი აქვს.

ეს მამები და დედები კიდევ არა, არ გვინდაო, — იძახიან.

ჯოკონდა (მურუსიძე) არ გინდათ, ბელმონდო (ჩინჩალაძე) არ გინდათ, აბა, ვინ გინდათ — დიმიტრი გელოვანი?

დიმიტრი გელოვანი მოკვდა

საწყალი და საკაშვილმა და ადეიშვილმა დაასაფლავეს სახელმწიფო ხარჯით უპატრონოთა სასაფლაოზე.

„ნაცმოძრაობის“ დროს გამოტანილი განაჩენების 98% გამამტყუნებელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეთა 98% მურუსიძე და ჩინჩალაძე ბრძანდებოდა.

აბა, თქვენ საიდან მოგყავთ წესიერი, ობიექტური, მიუკერძოებელი მოსამართლეები, მამებო და დედებო?

მაგათ თავიანთი ჩინჩალაძეებით და მურუსიძეებით უნდათ სხვისი მურუსიძეების და ჩინჩალაძეების ჩანაცვლება, თორემ სხვა კადრები საიდან უნდა მოიყვანონ — სხვა კადრებიც ხომ საკაშვილმა და ადეიშვილმა დიმიტრი გელოვანს დაამარხეს მკერდზე?

ასე რომ, რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება, ნამდვილად არ არის კონსერვატორი მამების და რეფორმებისადმი მიდრეკილი მაქსიმალისტი შვილების ბრძოლა, სინამდვილეში ეს არის ბრძოლა მეტი ძალაუფლებისთვის, მეტი გავლენებისთვის, მეტი ადგილისთვის მზისქვეშეთში, რაც ძალიან, ძალიან დამანგრევლად მოქმედებს „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის მდგრადობასა და სიმყარეზე.

იყო დრო, ჯერ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ გამოხრა და გამოჭამა „ქართული ოცნება“

შიგნიდან, ახლა კი შინაურები აპირებენ „თავისი წილი“ „ქართული ოცნების“ დათრევას და მიტაცებას.

„მამა“ გიორგი (ჯულიეტოვიჩი) და ჩახდილები

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს „რუსთავი-2“-ის წამყვანი გიორგი გაბუნია (ჯულიეტოვიჩი) მღვდელი ჰგონიათ, რომელთანაც პოლიტიკური ცოდვები უნდა მოინანიონ.

„ქართული ოცნებიდან“ რომ წამოხვალ, მეორე დღესვე აუცილებლად „მამა“ გიორგისთან უნდა მიხვიდე და აღსარება უნდა ჩააბარო — ეს უკვე სავალდებული როტუალად იქცა მონანიების გზაზე შემდგარი პოლიტიკოსებისთვის.

ამასწინათ ჯგუფური მიღება ჰქონდა „მამა“ გიორგის — რა ქნას, ბევრნი არიან და თითო-თითოდ ამათგან აღსარების ჩაბარებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

„მამა“ გიორგი კი დაკავებული კაცია და ამდენი დრო არა აქვს.

„მამა“ გიორგის“ უფროსი, „მეუფე“ ნიკა გახარებულია — მის ეკლესიას მრევლი ემატება და ემატება.

სულ ახლახან „მეუფე“ ნიკა აღტაცებული ჭყლოპონებდა — მამა გიორგიმ ამა და ამ მანდილოსანს ბოლომდე ჩახადაო.

აღსარებისთვის მოსული მანდილოსნის ჩახდა რა წესია, თქვენო მაღალუწმინდურესობავ?!.

ესეც არ იყოს, თქვენთან რომ ადამიანი მოვა, ის უკვე ჩახდილია და მეტი რა ჩახდა-გახდა უნდა?

ჯორჯ სოროსი - პარადოქსული სპეკულიანტი, ფილანტროპი თუ სატანა, რომელიც დედამიწაზე ღვთის წესრიგის ნაცვლად თავისი წესრიგის დამყარებას ცდილობს

მსოფლიო სუპერკლასის „ვარსკვლავმა“, მილიარდელმა ჯორჯ სოროსმა ლიბერალური იდეების გავრცელებას თავის უზომო ქონების მოზრდილი ნაწილი მიუძღვნა. მას ეკუთვნის ოცდაათ ქვეყანაში გაშლილი ძლიერი ფილანტროპიული ქსელი. მისი ფონდი აფინანსებს მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ფრანგი იურისტი მარია ვალერიას შეფასებით სოროსი გახლავთ ფინანსისტი და სპეკულატორი (speculateur), ფილოსოფოსი და ფილანტროპი. უნგრეთში, ებრაელთა ოჯახში, დაბადებულმა ჯორჯ სოროსმა ქონება მოიხვეჭა. დიდ ბრიტანეთში და აშშ-ში. მან შექმნა ფონდი Soros Fund Management რომელიც ინვესტიციებს დებს მთელ მსოფლიოში. მან სახელი გაითქვა კაცმა რომელმაც 1992 წელს ლივრ სტერლინგზე სპეკულაციით „ააფეთქა“ ინგლისისს ბანკი, დასცა. ინგლისური მონეტის კურსი და ჩაიჯიბა მილიარდ დოლარზე მეტი. ამ პარადოქსულ სპეკულანტს და მოთამაშეს გაუჩნდა ფილანტროპიული ამბიციები. ის იბრძვის ადამიანის უფლებებისთვის და დემოკრატიის. გაფრცელებისთვის განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში ოცდაათ წელიწადში მან

ცამეტი მილიარდი დოლარი მისცა თავის ფონდს: ღია საზოგადოება. 1979 წლიდან შექმნილი ეს გიგანტური ქსელი ხელმძღვანელობს ათობით ეროვნულ ფონდებს მთელ მსოფლიოში. lL'Open Society Foundations (OSF) ღია საზოგადოების ფონდები მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც იბრძვიან ადამიანის უფლებებისთვის, განათლებისთვის, დემოკრატიისთვის, ჯანმრთელობისთვის, მიგრანტების დახმარებისთვის, კანაბისი-მარიხუანას ლეგალიზაციისთვის, ბოშათა დისკრიმინაციის ან კორუფციის... წინააღმდეგ.მისი მიზანია „ღია საზოგადოების“ დამკვიდრება, „აგება ცოცხალი ტოლერანტული დემოკრატიებისა რომელთა მთავრობებიც პასუხისმგებლები არიან ხალხის წინაშე და გახსნილი არიან ყველას მონაწილეობისთვის». ეს წერია მის საიტზე. თავიდან ლაპარაკი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტელექტუალური და საუნივერსიტეტო ცხოვრების გამოცოცხლებაზე 1989 წელს კომუნიზმის დამხობის შემდეგ. სოროსი ფინანსურად ეხმარებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ათობით ინტელექტუალურ ჟურნალს. სოროსის ფილანტროპიულმა საქმიანობამ ის გადააქცია რეგიონის პოლიტიკური სცენის აუცილებელ პერსონაჟად. უნგრეთში, საიდანაც არის წარმოშობით მილიარდერი, ღია საზოგადოება მხარს. უჭერს სამოცამდე ორგანიზაციას. ეს არ მოსწონს უნგრეთის პრემიერ მინისტრ ვიკტორ ორბანს რომელიც მას ბრალად სდებს ქვეყნის შინაგან საქმეებში ჩარევას. შარშან ოთხ აპრილს უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი რომელიც უცხოურ უნივრსიტეტებს უკრძალავს თავისი სტუდენტებისთვის დიპლომების მიცემას. სამიზნეა ჯორჯ სოროსის მიერ დაარსებული ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. აღმოსავლეთ ევროპაში სოროსი ეხმარება სტეფან ბატორის ფონდს პოლონეთში. 1988 წელს დაარსებულმა ამ ფონდმა უნდა იბრძოლოს კომუნიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი რომელიც 1991 წელს უნგრეთში დაარსდა, «მიზნად დაისახა» აღზარდოს დემოკრატიული სულისკვეთების პიროვნებები. კერძო უნივერსიტეტმა მიიღო ასზე მეტი ეროვნების თხუთმეტიათასი სტუდენტი რომელთაც სურდათ ინგლისური სწავლა... უკრაინაში, საერთაშორისო რენესანსის ფონდი 1990 წელს დაარსდა, მან მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ევრომაიდანის მოვლენებში 2013–2014 წლებს შორის. ეს მოძრაობა დამთავრდა პრეზიდენტი ვიკტორ იანუკოვიჩის გადადგომით და ახალი მთავრობის შექმნი T. 1991 წელს დაწყებულმა სამოქალაქო განათლების პროექტმა შესაძლებელი გახადა ასამდე ინგლისურად მეტყველი ახალგაზრდა სპეციალისტის მისიით გაგზავნა აღმოსავლეთ ევროპაში.

სერბეთში 1998 წელს დაარსებულმა მოძრაობამ „ოტპორ“ დაამხო სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმი.

სოროსის გავლენის სფერო ევოლუციას განიცდის. თავიდან ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის გათვალისწინებულმა ინვესტიციებმა 2000-ანი წლებიდან გადაინაცვლეს აფრიკისკენ, აშშ-სკენ და საშუალო აღმოსავლეთისკენ. ბოშები l Roma Education Found-ით. 2008 წელს სოროსი მათ იცავდა ევროკომისიის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე. „ჰუმან რაით ვოთჩი“ ინფორმაციით, სოროსმა 2010 წლიდან ასი მილიონი დოლარით დააფინანსა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია. 2010 წელს სოროსის ფონდმა კალიფორნიაში დააფინანსა კამპანია მარიხუანას ლეგალიზაციისთვის. დემოკრატების კამპანია თეთრი სახლის ასაღებად ჯორჯ სოროსმა სულ მცირე შვიდი მილიონი დოლარით მხარი დაუჭირა ჰილარი კლინტონს. ამისთვის ის იყენებდა საგანგებო კომიტეტს პოლიტიკური აქციისთვის. სოროსი ჯერ კიდევ 2004 წელს ებრძოდა რესპუბლიკელებს და აფინანსებდა პრეზიდენტობის კანდიდატი ჯორჯ ბუშის საწინააღმდეგო ტელესიუჟეტებს. ჯორჯ სოროსის ფონდი ასევე ეხმარება მიგრანტებს, საფრანგეთში ისლამოფობიის წინააღმდეგ, ასწავლიდა ეგვიპტელ ბლოგერებს, რომლებმაც დაიწყეს არაბული გაზაფხული (rac დამთავრდა ერაყის და სირიის ტრაღედიით)... ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ (23.08.2016 წელი) წერდა, რომ მსოფლიო სუპერკლასის სუპერსტარი ჯორჯ სოროსი საფრანგეთში აფინანსებს უცნაურ კოლექტივს ისლამოფობიის წინააღმდეგ. საფრანგეთის მრავალ ქალაქში ბურკინის ტარების საწინააღმდეგო დადგენილებათა მიღების შემდეგ ბურკინის ტარების უფლების დასაცავად ფეხზე დადგა ერთი ასოციაცია. ეს გახლავთ საფრანგეთში ისლამოფობიის წინააღმდეგ სოროსის „ქოლგის ქვეშ“ შექმნილი კომიტეტი (le Comité contre l'islamophobie en France (CCIF)), რომელმაც სასამართლოს მიმართა ყოველი ამ დადგენილების წინააღმდეგ საჩივრით. „ჩვენ მივალთ ყველა იმ ქალაქების ლოკალურ იურისდიქციებთან სადაც მიღებული იქნა ბურკინის ტარების ამკრძალავი დადგენილებები“, ეს განაცხადა კომიტეტის წარმომადგენელმა მარვან მუჰამედმა. ეს უკანასკნელი ბურკინის ტარების დასაცავად მიადგა მრავალ რადიოს და ტელევიზიას. მისი სიტყვა კარგადაა დაზეთილი. ის იყენებს ადამიანის უფლებების რიტორიკას და გმობს მაჰმადიანი ქალების „ დისკრიმინაციას“ის ამბობს, რომ საფრანგეთში კოლონიალურად ექცევიან მაჰმადიანებს და იყენებს ფემინიზმის არგუმენტს იმის სათქმელად რომ ქალებს აქვთ საკუთარი სურვილის შესაბამისად ჩაცმის უფლება. ბურკინიზე პოლემიკის გამო ატეხილ აურზაურში ასოციაციამ დაიწყო დიდი კამპანია თანამგრძნობთა მისამხრობად და შემოწირულებების შესაგროვებად. მისი თქმით ერთ კვირაში ასოციაციის წევრი გახდა ხუთიათასი კაცი და შეგროვდა ოცდაცამეტიათასი ევროს შემოწირულობა. საფრანგეთში ისლამის ოფიციალური ინსტიტუტები სუსტები და მათი ბაზისგან მოწყვეტილები არიან. აი მათ საწინააღმდეგოდ CCIF ძალიან აქტიურია. სოციალურ ქსელებზე... საიდან მოდის ეს ასოციაცია. რომელიც იქცა საფრანგეთის. ისლამის აუცილებელ ელემენტად და რომელმაც ლამის წაშალა. ტრადიციული ინსტიტუტები? 2003 წელს გაჩენილი ეს ასოციაცია ყველა ფრონტზეა. 2003 წლის ნოემბერში, სკოლაში პირბადის ტარების აკრძალვის თაობაზე გახურებულ დებატებში ჟურნალისტმა კლოდ იმბერტმა ეს ფრაზა წარმოთქვა ტელეარხ „ელაზაი“-ზე: საჭიროა პატიოსნება, მე ვარ ისლამოფობი და მე არ მეუხერხულება ამის თქმა“ ამ სიტყვებმა გააღიზიანა ისტორიის მასწავლებელი სამი დებახი, რომელმაც მცირერიცხოვან მომხრეებთან ერთად შექმნა კომიტეტი ისლამოფობიის წინააღმდეგ საფრანგეთში. იგი იბრძვის მაჰმადიანობასთან რეალურად თუ სავარაუდოდ დაკავშირებული პიროვნებების წინააღმდეგ თუ ყოველი მოქმედების თუ სიტყვის წინააღმდეგ გაუგებარია.

მილიარდერი ჯორჯ სოროსი მხარს უჭერს „No-borders“-ების (საზღვრების უარმყოფელ) ანარქისტებს, რომლებიც მთელ ევროპაში ევროპული სახელმწიფოების საზღვრების გაუქმებისთვის იბრძვიან.

წარმოშობით ეგვიპტელმა. ხელმძღვანელმა მარვან მუჰამედმა ჯერ კიდევ 2011 წელს განაცხადა“ ვისა აქვს უფლება იმის თქმისა, რომ საფრანგეთი 30–40 წელში არ იქნება მაჰმადიანური ქვეყანა? ვის აქვს ამის თქმის უფლება? არავის აქვს ჩვენთვის. ამ იმედის წართმევის უფლება“...

გასული წლის ზაფხულში იტალიური გადაცემა In Onda-სთვის (telearxi) მიცემულ ინტერვიუში იტალიის. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჯორჯ სოროსს უნდა იტალიის მიგრანტებით ავსება იმიტომ რომ მას უყვარს მონები. მან ეს ბრალდება იმავე დღეს გაიმეორა ტვიტერის თავის ანგარიშზე: „სოროსს სურს, რომ იტალია ლტოლვილების დიდ ბანაკად აქციოს. რადგან მას უყვარს მონები.“

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობდა, რომ ფონდი „ღია საზოგადოება“ და სათავეში მყოფი ამერიკელი მილიარდერი აფინანსებს მიგრანტების ევროპაში შემოდინებას. სწორედ სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩაყავთ ევროპაში ხმელთაშუა ზღვასთან „მოკრეფილი“ მიგრანტები.

სოროსის მიერ დაფინანსებული იატაკქვეშა უკანონო მიგრაციის შესახებ, ორი წლის წინ „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ მეტისმეტად აქტიური მილიარდერი ჯორჯ სოროსი აპირებს ხუთასი მილიონი დოლარის მიცემას იატაკვეშა, უკანონო მიგრანტების მიერ შექმნილი საწარმოებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2016 წელს გაეროს სამიტზე რომელიც ეძღვნებოდა მიგრანტებს და ლტოლვილებს. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავის მეგობარ და სპონსორ ჯორჯ სოროსს ასეთი ჰუმანიტრული ჩანაფიქრებისთვის მადლობა გადაუხადა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

პროსტატის ადენომა განკურნებადია

გვესაუბრება ექიმი-ჰომეოპათი, ბატონი კახა საბახტარიშვილი

— ბატონო კახა, ჩვენს მკითხველებს დავპირდით, რომ დღეს პროსტატის ადენომის პრობლემებზე ვესაუბრებოდით. როდის ჩნდება ძირითადად, პროსტატიტი და რა სიმპტომებით ხასიათდება იგი?

— 60 წელს გადაცილებული მამაკაცების უმრავლესობას აწუხებს პროსტატის ადენომის პრობლემა. ის, დისპანსერული გამოკვლევებისას, შეიძლება, სრულიად შემთხვევით დაუდგინდეს მამაკაცს მაშინ, როცა რაიმე სახის არსებით ჩივილებს არ ჰქონდეს ადგილი.

პროსტატის ადენომის პირველ ნიშანს წარმოადგენს შარდის გამოყოფის გახშირება ღამი თ. როდესაც მამაკაცს ღამით შარდვაზე მოთხოვნილება ერთჯერ მეტად აქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პროსტატის ადენომის დაავადების ნიშანია. გარდა ამისა, შარდვის მოთხოვნისას, დასაწყისში, შარდის გამოყოფა გვიანდება, თანაც შარდის ნაკადი სუსტია. დაავადების პროგრესირების კვალდაკვალ შარდვაზე ხშირი მოთხოვნის შეგრძნება ჩნდება. შემდგომ შარდის

გამოყოფა ხშირდება დღისითაც, რაც პროსტატის ანთებაზე მიუთითებს. ამ დროს შარდი შეიძლება გახდეს მღვრიე. შარდის ბუშტის არასაკმარისი დაცლა და მისი ინფიცირება კი შემდგომ შეიძლება გახდეს მასში კენჭების გაჩენის მიზეზი. ხდება ისეც, რომ პაციენტმა ხველებისას, დაცემინებისას და ა. შ. შარდი ვერ შეიკავოს და მერე უკვე ჩვეულებრივი ანურეზი, ანუ შარდის შეუკავებლობა დაემართოს.

შარდი გამოიყოფა უნებლიედ, წვეთებად. ავადმყოფს ეშინია, რომ საერთოდ არ შეუჩერდეს შარდის გამოყოფა.

ინფექცია კი პროგრესირდება. შეიძლება საშარდე ქსელიდან გავრცელდეს ზემოთ, ჩაითრიოს თირკმელები. ასეთ დროს იზრდება თირკმლის ანთების, ანუ პიელონეფრიტის და თირკმლის უკმარისობის განვითარების რისკი.

პროსტატის ადენომის დაავადების განვითარებაში უმთავრეს როლს ასაკთან ერთად მამაკაცთა ჰორმონალური აქტივობის, კერძოდ, ტესტოსტერონის შემცირებაც ასრულებს, ამიტომაც პროსტატის ადენომა შეიძლება მამაკაცთა კლიმაქსის ერთ-ერთ გამოვლინებად ჩავთვალოთ.

ის კეთილთვისებიანი სიმსივნეების ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია გაარჩიოს ერთმანეთისგან პროსტატის ადენომა და პროსტატის კიბო, რომლის საწყისი გამოვლინება თითქმის არაფრით განსხვავდება პროსტატის ადენომის ნიშნებისგან.

ყოველმა მამაკაცმა, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა, წელიწადში თუნდაც ერთხელ უნდა ჩაიტაროს სისხლში პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის (PSA) ტესტი. PSA-ს დონის მკვეთრი მომატება, შესაძლოა, მიანიშნებდეს პროსტატის კიბოს განვითარების მაღალ რისკზე.

— რას იტყვით, პროსტატის ადენომა განკურნებადია?

— გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ახალი დამთავრებული მქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, უკრაინაში, ქ. კიევში ყოფნის პერიოდში შემთხვევით შევიძინე წიგნი: **«Гомеопатическое лечение аденомы предстательной железы»**, რომლის ავტორი გახლდათ ექიმი ნატალია სემიონოვა. ეს წიგნი მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო და ეძღვნებოდა პროსტატის ადენომის მკურნალობას არაქირურგიული გზით – ჰომეოპათიური საშუალებებით. პირდაპირ გეტყვით, ამ წიგნში ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, დაუჯერებელი ფაქტები იყო გადმოცემული.

— კონკრეტულად?

— ექიმმა ნატალია სემიონოვამ უკრაინის ნაციონალურ სამედიცინო უნივერსიტეტში 2 წლის განმავლობაში 60-დან 90 წლამდე პროსტატის ადენომით დაავადებული პაციენტების ჰომეოპათიური საშუალებებით მკურნალობის შედეგად მიაღწია 90% შედეგიანობას. მან 100-დან 90 პაციენტს ოპერაცია თავიდან ააცილა. ამის გამო ნატალია სემიონოვას არა მარტო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, არამედ მეცნიერების დარგში უკრაინის სახელმწიფო პრემიაც მიანიჭეს, რაც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში იშვიათობა იყო.

— თქვენ რამდენად გამოიყენეთ სამედიცინო პრაქტიკაში მისი მიღწევები?

— ძველი ქართული მეციდინის გამოცდილების გაანალიზებამ, უნიკალური ანტისიმსივნური პრეპარატის „კატრექსის“ ლაბორატორიაში სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ, მსოფლიოში აღიარებული ჰომეოპათიური მედიცინის კორიფეების – ნატალია სემიონოვას, კონსტანტინ გერინგის და სხვათა ფასდაუდებელმა შრომებმა მომცა საშუალება, შემექმნა უნიკალური ფორმულები: „გულის ელექსირის“, „მამოსილის“, „იმუნო-ჰერბის“ და სხვათა სახით.

რაც შეეხება პროსტატის ჯირკვალთან არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს, ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია შესაძლებელი (ბახტრიონის №10-ა, „ნეოკლინიკა“). უნიკალური სამკურნალო ფორმულის „პროსტატ-ჰერბის“ საშუალებით, ეს პრეპარატი ძველი ქართული მედიცინის და ჰომეოპათიური მედიცინის გამოცდილებისა და ჰომეოპათიური მედიცინის სინთეზის საფუძველზეა შექმნილი. ამიტომაცაა უნიკალური მთელ მსოფლიოში.

პროსტატის ჯირკვალთან დაკავშირებული ყველა პრობლემის არაქირურგიულად მოგვარება ჰომეოპათიური საშუალებებით, უმრავლეს შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია.

— ბატონო კახა, რამდენადაც ვიცი, კიბოს საწინააღმდეგო, იმუნომოდულატორული თვისებების მქონე, მსოფლიოში უნიკალურ პრეპარატ „კატრექსის“ შემქმნელმა მეცნიერმა ალექსანდრე გაჩეჩილაძემ თქვენ უკრაინის ზესაიდუმლო სამედიცინო ცენტრებთან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაგაკავშირათ.

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ – არა მარტო პროსტატის ადენომისა და სიმსივნის, არამედ მასტოპათიის, ფიბრომიომისა და ქალთა გინეკოლოგიური, სიმსივნური პროცესების სამკურნალი საშუალება საქართველოში მალე შეიქმნება. „მამოსილი“ ამ მხრივ, „პირველი მერცხალია“.

„პროსტატ-ჰერბი“ ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია, „მამოსილი“ კი, რომლის ძირითად კომპონენტში სწორედ კონიოა (**Conium**), ყველა აფთიაქში იყიდება. საჭიროების შემთხვევაში, საუკეთესოა „პროსტატ-ჰერბისა“ და „მამოსილის“ კომბინირებული გამოყენება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

**ბატონ კახა საბახტარიშვილს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი,
ბახტრიონის ქ. #10ა.
სამედიცინო ცენტრი
„ნეოკლინიკა“
მიღება წინასწარი ჩაწერით.
ტელ.: 593 31 70 34.**



რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დაუბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– ჩემი ქალიშვილი იყო დანიშნული. საქმრომ ჩაშალა ნიშნობა. შეგვიძლია თუ არა, შევიტანოთ სასამართლოში სარჩელი და მოვითხოვოთ დაქორწინება?

– არა, არ შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

– ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

– ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?

– თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

– ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო- ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. რა მოხდება შემდეგში?

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 22 1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-2[1] ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/ და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 22 1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით.

მილიარდერი მილიარდების გარეშე

ჩაკ ფინი Duty Free-ს – თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიების ქსელის – დამაარსებელია, 88 წლისაა და ქველმოქმედებაზე 7,5 მლრდ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული. ამასთან, არ აქვს ავტომანქანა, დაფრინავს ეკონომკლასით, ცხოვრობს დაქირავებულ ბინაში და ატარებს საათს, რომელიც 15 დოლარი ღირს. ფინი მოსწონს სასაუზმეები, სამოსს ტანსაცმლის მაღაზიებში ყიდულობს, მგზავრობს მეტროთი ან ტაქსით.

შეიძლებოდა ძუნწად ჩაგვეთვალა, ბოლო 30 წლის განმავლობაში ქველმოქმედებაზე 6 მლრდ დოლარზე მეტი რომ არ გაეცა. ეს ფული დაიხარჯა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, მეცნიერებაზე, მოხუცთა თავშესაფრების შენახვა-

ზე აშშ-ში, ვიეტნამში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ირლანდიასა და ბერმუდის კუნძულებზე.

ამ ექსტრავაგანტურ ადამიანს არ აინტერესებს ფული და დიდება, ქველმოქმედებას 15 წლის განმავლობაში ისე ეწეოდა, რომ „ეჭვი არავის აუღია“, ამას მისი „გამოაშკარავება“ მოჰყვა, თუმცა ფინი კვლავ მოკრძალებულად იქცეოდა ცნობილია, რომ 2012 წლამდე მან მხოლოდ ხუთი ინტერვიუ მისცა.

ჩაკ ფინიმ არაფრიდან დაწყო და რამდენიმე წელში შეძლო კომპანიის შექმნა, რომელშიც 200 თანამშრომელია და 27 ქვეყანაში აქვს ფილიალები. მისი შემოსავალი უსწრაფესად იზრდებოდა, თუმცა დიდი ნაწილი მისივე საქველმოქმედო ფონდში The Atlantic Philanthropies-ში ირიცხებოდა.

„მე დავრწმუნდი, რომ უფრო დიდ სიამოვნებას იღებ, როდესაც ფულს გასცემ და ხედავ, რომ მათი წყალობით რაღაც ჩნდება, მაგალითად, ჰოსპიტალი. ეს ხომ ლოგიკურია, რომ ფული კეთილ საქმეებში დააბანდო და არა ბანკში აგროვო..“ – ამბობს ფინი.

ბილ გეიტსმა თქვა, რომ ჩაკ ფინი საუკეთესო მაგალითია იმისა, ცხოვრებაში სიკეთე როგორ უნდა აკეთო.

ჩარლზ ფინი. ჩვენი დროის უდიდესი ფილანტროპი

კომენტარებში, რომლებიც ამერიკელი მილიონერი ქალბატონის შესახებ წერილის ქვეშ არის განთავსებული, მთელი ცხოვრება მოკრძალებულად რომ იცხოვრა და მერე 7 მლნ დოლარი ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებას დაუტოვა, ხშირად შეხვდებით კითხვას, რად გინდა ამდენი ფული, თუ მას სიამოვნებისთვის არ გამოიყენებ და ბოლოს კი უცნობ ადამიანებს უნდა დაუტოვოო?

ამაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან ადამიანებს სიკეთეს ბავშვობიდან აჩვევენ, ან ეს ასაკთან ერთად მოდის, ან სულაც ვერასოდეს გაიგებ, რისთვის არის საჭირო სიკეთის კეთება.

ვიკიპედიაში განთავსებული ამერიკელ ფილანტროპთა სია 1121 სახელისგან შედგება. ამ ადამიანთაგან თითოეულმა ქველმოქმედებაზე მილიონები, ზოგიერთ შემთხვევაში კი მილიარდები დახარჯა. ბევრმა მათგანმა ფული მემკვიდრეობით კი არ მიიღო ან მოიგო, არამედ საკუთარი შრომით მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ისინი გადაწყვეტილებას იღებენ, ეს ფული არა საკუთარი სარგებელისთვის გამოიყენონ, არამედ კეთილი საქმე გააკეთონ.

ჩარლ ფინის, ამ „იდუმალი მილიარდერისა“ და თანამედროვე ისტორიის ყველაზე დიდი ქველმოქმედის ცხოვრება ნამდვილად იმსახურებს უფრო დეტალურად განხილვას.

იმპერიის დამაარსებელი

ჩარლზ ფინი 1931 წელს დაიბადა ღარიბი ირლანდიელების ოჯახში ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში. კორეის ომის დროს იგი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ჯარში მსახურობდა რადიოოპერატორად. 1956 წელს დაამთავრა Cornell University of Hotel Administration, მოგვიანებით კი დაიწყო ხმელთაშუა ზღვის პორტებში ალკოჰოლით თავისუფალი ვაჭრობა. ეს იყო მზადება მისი ცხოვრების მთავარი საქმისთვის – 1960 წლის 7 ნოემბერს ჩაკ ფინმა რობერტ მილერთან ერთად, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა, კომპანია Duty Free Shoppers Group-ი შექმნა.

კომპანია ჰონკონგში იყო დარეგისტრირებული, სადაც პირველი მაღაზია გახსნეს. DFS-ის აღმასვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც კომპანიამ ჰავაის კუნძულებზე თავისუფალი ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება მიიღო. იმ პერიოდში ჰავაის კუნძულები იაპონელ ტურისტებს იზიდავდა, რომლებიც DFS-ის მაღაზიებში ბევრ ფულს ხარჯავდნენ. ამან საშუალება მისცა კომპანიის მფლობელებს, გაეხსნათ მაღაზიები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

1996 წელს ფინიმ თავისი აქციები სხვა კორპორაციას მიჰყიდა, რომელიც ფეხს იკიდებდა და 1,6 მლრდ დოლარი აიღო. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ფასიანი ქაღალდები არა მან, არამედ ბერმუდის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა საქველმოქმედო ფონდმა The aTlantic Philanthropies-მა გაყიდა. ეს ფონდი ფინიმ ჯერ კიდევ 1982 წელს შექმნა, 1984 წელს კი ყველა თავისი საწარმოს (არა მარტო დიუთი ფრის, არამედ მსხვილი სასტუმროების ქსელის, მომსახურების კომპანიებისა და სხვა ბიზნესების) აქციები გადასცა. 1988 წელს ჟურნალმა Forbes-მა ჩარლზ ფინი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორის 23-ე ადგილზე დაასახელა. სინამდვილეში კი პუბლიკაციის მომენტისთვის ამ „მილიარდერის“ ქონება მხოლოდ 5 მლნ დოლარს შეადგენდა, დანარჩენი The Atlantic Philantropies-ს ეკუთვნოდა.

ფილანტროპი

15 წლის განმავლობაში, მიუხედავად აქტიური ქველმოქმედებისა, ფინი ახერხებდა ანონიმურობის შენარჩუნებას. იგი თავისი ფონდიდან ასობით მილიონობით დოლარს გადასცემდა უნივერსიტეტებს, აშენებდა საავადმყოფოებს, ბიბლიოთეკებს, კვლევით ცენტრებს, მაგრამ გრანტების მიმღებთაგან არავინ იცოდა, ვინ იდგა ამ თანხების უკან. ბერმუდების კანონმდებლობა არ ითხოვს კუნძულებზე დარეგისტრირებული კერძო ფონდების მფლობელების მონაცემების გამოაშკარავებას.

სიმართლე 1997 წლის 23 იანვარს გაცხადდა, როდესაც New York Times-ის კორესპონდენტმა იუდიტ მილერმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მან გასცა 600 მლნ დოლარი, რის შესახებაც არავინ იცოდა“.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში ფინის საქველმოქმედო ფონდი უფრო ღიად მოქმედებდა. ის აბანდებდა ფულს ძირითადად აშშ-ის, ირლანდიის, ავსტრალიისა და ვიეტნამის ტერიტორიებზე გახორციელებულ პროექტებში. 2007 წლის მონაცემებით, აშშ-ში ფონდმა დახარჯა 2 მლრდ, ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში – 1 მლრდ, ხოლო ავსტრალიასა და ვიეტნამში – 200–200 მლნ დოლარი. ფონდის ანგარიშების თანახმად, 2007 წელს ქველმოქმედებაზე დახარჯულმა თანხებმა 650 მლნ დოლარს გადააჭარბა, 2008 წელს კი – 720 მლნ-ს.

მეორე მხარე

ჩარლზ ფინიც ადამიანია და არაერთგვაროვანი მიდრეკილებები აქვს. ფართოდ არის ცნობილი, რომ იგი, როგორც კერძო ადამიანი, მხარს უჭერს ირლანდიის რესპუბლიკური პარტიის „პოლიტიკურ ფრთას“, რომელიც ფორმალურად მონაწილეობას არ იღებს IRA-ს მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში. ოფიციალურად ფინიმ პარტიას 250 ათასი დოლარი გადაურიცხა და ყველაზე მსხვილი ამერიკელი სპონსორი გახდა.

ბერმუდის ფონდს აქვს „შვილობილი“ სტრუქტურა French American Charitable Trust, რომელსაც ფინის ქალიშვილები უდგანან სათავეში. ესეც საქველმოქმედო ფონდია, თუმცა უფრო მცირე მოცულობის. ფონდი მილიონობით დოლარს ურიცხავს „მემარცხენე“ ორგანიზაციებს – „მუშებს“, მწვანეებს“, „ქალთა ორგანიზაციებს“ და ა. შ. დასახელებაში საფრანგეთის გამოჩენა შემთხვევითი არ არის, რადგან ფინის ერთ-ერთი ქალიშვილი სწორედ ამ ქვეყანაში დაიბადა, სადაც სოციალისტური შეხედულებები ძლიერია.

ჩაკ ფინი უდიდესი ფილანტროპია, რომელმაც ცხოვრებაში ბევრი სიკეთე გააკეთა. მისი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფულის შოვნის მიზანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სასახლეები, იახტები, ვარსკვლავებთან ერთად გატარებული მდიდრული საღამოები, არამედ მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com
ISSN 2233-3983